ამრიგად ტფილისში 1922—წლის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება-თა აღწერის მიხედვით ირიცხება—10—153 სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება, რომლიდან სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ (კოოპერატიულ და სხვა) და სამხედრო პირებს ეკუთვნოდა—მხოლოდ 5,4, კერძო პირებს—75,5 %.

აღწერის დროს დაკეტილი იყო 1941—ანუ 19,1% სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება. აღნიშნული სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები საერთოდ შემდეგი სახით განაწილდება:

ქართველებს ეკუთვნოდა	2253	სავაჭრ.-სამრეწ.—დაწ.	ანუ	29,2%
სომხებს	4037	"	"	52,3%
რუსებს	162	"	"	2,1%
თათრებს	468	"	"	6,1%
ებრაელებს	365	"	"	4,7%
დანარჩენ ეროვნებას	433	"	"	5,6%
ს უ ლ	7918	"	"	100

ხემათმოყვანილი ცნობები ჩვენ გვაძლევს ერთგვარ ფოტოგრაფიულ სურათს, საიდანაც შეგვიძლია დაახლოებით გავცნოთ ტფილისს, როგორც სავაჭრო-სამრეწველო ქალაქს. გამოჩვეულია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა რაოდენობა, მათი განჯგუფება საზოგადოებრივ და კერძო პირთა დაწესებულებების მიხედვით და გავცნანით აგრეთვე, თუ როგორ დანაწილდება კერძო პირთა დაწესებულება ეროვნების მიხედვით.

ჩვენ ზევით აღვნიშნავდით, რომ სავაჭრო დაწესებულების ძალოვნების გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის რაოდენობას; მაგრამ დღემდე მოხდენილ სტატისტიკურ გამოკვლევებმა ვერ ნოგვეცა საჭირო მასალები. 1923—წელში ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ მოახდინა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე, განსაკუთრებით საბრუნავო კაპიტალის გამოჩვევაზე დიდი ყურადღება იყო მიპყრობილი, მაინც შეუძლებელი შეიქნა სწორი ცნობების მიღება. ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს ერთდროული გამოკვლე-



ვის შედეგები სავაჭრო-სამრეწველო მუშაობის შესახებ, რომელიც ჩაატარა ქალაქის სტატისტიკურმა განყოფილებამ 1924—წლის სექტემბერში ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაგეგმვით, აღწერა შემდეგ სურათს იძლევა.

კერძო პირთა სავაჭრო დაწესებულებები.

აღნიშნული ცნობები ამოკრებულია საგადასახადო ინსპექციის სამმართველოდან და კერძო დაწესებულებათა შესახებ სრულიად დამყარებულ მასალებს წარმოადგენს. ცხრილში აღნიშნულ 1-ლი ხარისხის დაწესებულებები წარმოადგენენ ფებზე მოვაჭრეებს.

სულ 1924—წლის ივლისისთვის ტფილისში ირიცხებოდა 336 ფებზე მოვაჭრე, რომლიდან დამატებითი გადასახადით დაიბეგრა მხოლოდ 19 და დაბეგრილ დაწესებულებათა დამატებითი ბრუნვის ჯამი შეადგენს 15.600 მან.; შემდეგ სავაჭრო დაწესებულებები დანაწილდებიან ხარისხებად მათი სავაჭრო ოპერაციების მიხედვით. როგორც ცნობებიდან ჩანს ტფილისში სჭარბობს მესამე ხარისხის სავაჭროები—სულ ირიცხება 2,457, მათს შორის დაიბეგრა 2,577 და თვითნებულ სავაჭროს ბრუნვის ჯამი შეადგენს 6.084 მან. 62 კაპ. სულ მესამე ხარისხის დაბეგრილ სავაჭროთა ბრუნვის ჯამი უდრის 15.680.074; მეორე ხარისხის სავაჭროთა ბრუნვის ჯამი 6.394.467 მან. და ნეხუთე ხარისხის—2.912.341 მან. 50 კაპ. სულ კერძო სავაჭროთა ბრუნვის ჯამი უდრის 27.154.738 მან. ამრიგად სავაჭრო დაწესებულებები აღნიშნული ცნობების მიხედვით საშუალო ტიპის არის. ცხადია მოვაჭრეთა დეკლარაცია მათი ბრუნვის შესახებ და აგრეთვე საგადასახადო ინსპექტორების მიერ დამტკიცებული ბრუნვის ჯამი დაახლოვებითია. მაგრამ ჩვენ მიიწე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტფილისში ვაჭრობა მნიშვნელოვნად არის განვითარებული და მას არა თუ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებს, ამიერ-კავკასიის ქალაქებს შორისაც ვაჭრობის დარგში პირველი ადგილი უჭირავს.

მნიშვნელოვნად არის განვითარებული ტფილისში აგრეთვე კოოპერატიული ვაჭრობა, როგორც ცეკავშირის სტატისტიკური განყოფილების ცნობებიდან ჩანს 1924 წლის ივლისისთვის ტფილისში ირიცხებოდა 28—ნომხმარებელი საზოგადოება, 35—ფურნე და რაიონებში 10—განმანაწილებელი პურის ძალაზია სულ—72 კოოპერატიული დაწესებულება. აღნიშნული კოოპერატივების ბრუნვის ჯამი უდრის იანვრიდან ივლისამდე 1.808.454 მან. 12-კაპ.; თვიური ბრუნვა კი უდრის 301.409 მან. 02 კაპ. სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებები ტფილისში უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით ირიცხება 44.

1924 წლის გამოკვლევის მიხედვით ტფილისში ირიცხება 1639 სამრეწველო დაწესებულება. მათს შორის დანატებითი გადასახადით არის დაბეგრილი 1239. კერძო პირთა სამრეწველო დაწესებულებების ბრუნვის ჯამი ოქტომბრიდან ივლისამდე უდრდა 2.243.712 მან. 39 კაპ. ჩვენ, რომ დაახლოვებით სრული წარმოდგენა გვქონდეს ვაჭრობა-მრეწველობაზე ტფილისში განვიხილოთ ტფილისში არსებული ტრესტების, სინდიკატების, აქციონერული საზოგადოებათა რაოდენობა.



1924—წლის პირველ სექტემბრისათვის ტფილისში ირიცხებოდა

საქართველოს რესპუბლიკის ტრესტები და შათი სავაჭროები.	თანამშრომელთა რიცხვი.
1) თამბაქოს ტრესტი	50
5 — სავაჭროთი	24
2) ტყავის ტრესტი	29
ორი სავაჭრო და ერთი საწყობი	19
3) ღვინის სახელმწიფო ტრესტი	23
ორი სავაჭროთი	7
4) საქართველოს ტყეების ცენტრალური სამმართველო	25
ერთი სავაჭრო და ერთი საწყობი	8
5) პოლიგრაფის ტრესტი	23
6) სახელმწ. სამგვერ. გაერთ	28
7) საქსოვი, ერბოს და საპნის ტრესტი	22
8) სახალხო შამულეების ტრესტი	37
ღვინის საწყობით	7
აბრეშუმის სადგური	15
9) ბორჯომის შამულეების წარმომადგენ.	2
10) შავი ქვის მრეწველობის მმართველობა	30
11) ქარხნების სამმართველო	12

საქართველოს რესპუბლიკის სააქციონერო საზოგადოებანი. თანამშრომელთა რიცხვი.

ჭიათურის მადნეულობის საექსპორტო და საიმპორტო საზოგადოება	39
სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება „იუველირი“	18
კინოების გამართიანებელი საზოგადოება	21

ტფილისში არსებობს აგრეთვე კავშირის ტრესტის განყოფილებები სულ 8 და ხუთი სინდიკატის განყოფილება.

ეკონომიური სიძლიერის გამოიმხატველი არის აგრეთვე ბანკები. ამ მხრით ტფილისი წინ უსწრებს ანიერ-კავკასიის დანარჩენ ქალაქებს.

ტფილისში არსებობს ერთი კომუნალური და მეორე საქართველოს სასაფლო-სამეურნეო ბანკი. დანარჩენი ოთხი კი მუშაობენ, როგორც კავშირის და რუსეთის ბანკების განყოფილებანი.

როგორც 1922 წლის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა აღწერიდან ჩანს, მთელი რესპუბლიკის ქალაქებში ირიცხება 10,287 სავაჭრო და 8,092 სამრეწველო დაწესებულება. ტფილისში ირიცხება რესპუბლიკის ქალაქებში არსებული სავაჭრო დაწესებულების 42,2%/-; სამრეწველო დაწესებულების კი—40,5%/-.



მთელი რესპუბლიკის ქალაქებში არსებობს 204 კოოპერატიული დაწესებულება და აღნიშნულ დაწესებულებებიდან ტფილისში ირიცხება 35,4%^{0/0}; სახელმწიფო დაწესებულებებიდან კი 47,5%^{0/0}. უკანასკნელ ცნობებიდან ჩანს, რომ ტფილისმა შეინარჩუნა თავისი ისტორიული მნიშვნელობა.

ხვედრითი წონის გამორკვევის შემდეგ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტფილისი მთავარი განმანათლებელი, სამრეწველო და საეკონომიკური პუნქტია — არა ნარტო-საქართველოს რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ტფილისი კვლავ რჩება საქართველოს კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრად და ამავე დროს ღებულობს საეკონომიკურ-სამრეწველო ქალაქის სახეს.

სწილისის აღმასკოვის ბიბლიოთეკები 1924 წელს*)

ეს ბიბლიოთეკები წერეთლისა, შაჰმიანისა, სტალინისა, ლენინისა, სუხიშვილისა, ზუბალაშვილისა, პლენანოვისა, ტროცკისა და რუსთაველის სახელობისაა.

1924 წლის იანვრის 1-ლიდან 1925 წლის იანვრის 1-ლამდე წიგნებისა და აბონენტების მოძრაობა ტფილისის ბიბლიოთეკებში შემდეგნაირად გვეჩვენება.

1924 წლის იანვრის პირველამდე ქალაქში იყო სულ აღმასკომის 8 ბიბლიოთეკა, მე-9 ბიბლიოთეკა (საბურთალოში), ტროცკის სახელობისა, გაიხსნა უფრო გვიან. ხსენებულ ბიბლიოთეკებში 1924 წლის დასაწყისში იყო წიგნი:

ქართულ ენაზე	4.859	(7,4%)
რუსულ "	50.777	(76,2 ")
სომხურ "	9.574	(14,3 ")
ევროპიულ ენებზე	1.379	(2,1 ")

სულ . 66.589 (100,0%)

გასულ წელს ბიბლიოთეკებში გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა დეცემალურ სისტემაზე წიგნების განჯგუფების გარშემო. ამასთანავე ბიბლიოთეკების წმენდაც გრძელდებოდა: შინაარსით შეუფერებელი წიგნები ბიბლიოთეკების კატალოგებიდან გამოირიცხა. ერთსა და იმავე დროს ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით შეივსო. ამ მიმართულებით მუშაობა შეუჩერებლად სწარმოებდა.

ბიბლიოთეკებში წიგნები შემდეგნაირად იყო განჯგუფებული:

ბიბლიოთეკები	იყო წიგნი		იყო წიგნი	
	1924 წლის იანვრის 1-ლს აბსოლუტ.	პროც.	1925 წლის იანვრის 1-ლს აბსოლუტ.	პროც.
წერეთლის სახელობისა	6.479	9,7	6.932	9,4
შაჰმიანის "	20.518	30,8	20.562	28,0
სტალინის "	9.914	14,9	10.135	13,8
პლენანოვის "	3.471	5,2	5.455	7,4
ლენინის "	4.992	7,5	5.826	7,9
ზუბალაშვილის "	15.558	23,4	16.365	22,3
სუხიშვილის "	1.836	2,8	2.659	3,6
რუსთაველის "	3.821	5,7	4.142	5,7
ტროცკის "	—	—	1.357	1,9
სულ .	66.689	100,0%	73.433	100,0%

ამნაირად, წლის განმავლობაში წიგნების რიცხვი 66.589-დან 73.433-მდე გაიზარდა. ასე რომ ბიბლიოთეკებში 1925 წლის 1-ლ იანვრისთვის 6.844 წიგნით მეტი იყო, ვიდრე 1924 წლის დამდეგს. თუ წიგნების რაოდენობას 1924

*) ამოღებულია ფრანკლიდან „ჩვენი აღმწერებლობა“.



წლის დამდეგს 100,0 პროც.-ად ჩაევაგდებთ, წლის დამლევს ეს პროცენტი 110,2 პროც.-ამდე ავიდა. ასე რომ წიგნების რიცხვი 10,2 პროც.-ით გაიზარდა.

აბსოლუტურად წიგნის რიცხვმა ყველა ბიბლიოთეკაში მოიმატა. პროცენ. ზრდა ეტყობა პლენანიოვის, ლენინის და სუხიშვილის სახელობის ბიბლიოთეკებს.

საჭიროა განვიხილოთ წიგნების ზრდა ენების მიხედვითაც.

	იყო წიგნი 1924 წლის იანვრის 1-ს		იყო წიგნი 1925 წლის იანვრის 1-ს	
	აბსოლუტ.	პროც.	აბსოლუტ.	პროც.
ქართულ ენაზე	4.859	7,4	7.064	9,6
რუსულ "	50.777	76,2	54.969	74,9
სომხურ "	9.574	14,3	10.009	13,6
დანარჩენ ენებზე	1.379	2,1	1.391	1,9

ს უ ლ 66.589 100,0% 73.433 100,0%

ცალკე ენების მიხედვითაც წიგნების რიცხვმა იმატა. განსაკუთრებით იმატა ქართულ ენაზე (7,3 პროც.-დან 9,6 პროც.-ამდე).

წლის განმავლობაში შეძენილ იქნა:

ქართულ ენაზე	1.705 წიგნი	23,3 პროც.
რუსულ "	4.849 "	66,2 "
სომხურ "	756 "	10,3 "
სხვი ენებზე	18 "	0,2 "

თვითნებულ ათას წიგნზე, რომელიც ბიბლიოთეკ. იყო, მოდის შეძენილი წიგნი:

ქართულ ენაზე	350,9
რუსულ "	95,5
სომხურ "	79,0
დანარჩენ ენებზე	13,0

ცხადია, პირველ რიგში ბიბლიოთეკებში შეუძენიათ წიგნები ქართულ ენაზე, შემდეგ — რუსულზე, სომხურზე და დანარჩენ ენებზე.

რასი გამოიხატა ბიბლიოთეკების მუშაობა? ჭკვემოლმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წიგნების მოძრაობას წლის განმავლობაში თვეების მიხედვით.

გაცნობლია წიგნები აბონენტებზე ენებისა და თვეების მიხედვით:

წიგნები	იანვ.	ფებ.	მარ.	აპრ.	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვის.	სექტ.	ოქტ.	ნოემბ.	დეკემბ.	ს უ ლ	%
ქართ. ენაზე	2694	3027	2548	3916	2255	1812	1889	1632	1271	1582	1678	1941	26245	16,1
რუსულ "	11712	14023	12401	12633	9255	8330	9169	7907	6538	7402	6267	6445	112112	65,0
სომხურ "	3907	5384	4187	1414	3474	2151	2007	2111	1851	1484	1444	1701	31115	18,1
დანარ. ენებზე	22	43	51	42	48	557	31	35	21	34	27	26	917	0,5
ს უ ლ	18335	22177	19187	20005	15062	12820	13096	11685	9651	10502	9416	10113	172389	100,0
	10,6	13,0	11,1	11,6	8,8	7,4	7,6	6,8	5,6	6,1	5,5	5,9	100,0	

ამნაირად, აბონენტებზე ყველაზე მეტი წიგნი გაცემულია თებერვალში (13,0%), აპრილში (11,6%), მარტში (11,1%) და იანვარში (10,8%) მთელი წლის განმავლობაში აბონენტებისადმი გაცემული წიგნებისა. ზაფხულის თვეებში წიგნები ბიბლიოთეკებიდან ნაკლებ გავრცედა.

ენების მიხედვით ყველაზე მეტია წაკითხული რუსული წიგნი (65,0%) შემდეგ — სომხური (18,1%), ქართული (16,4%) და დანარჩენი (0,5%).

1925 წლის იანვრის 1-სთვის ტფილისის აღმასკომის 9 ბიბლიოთეკაში 3.509 აბონენტი ითვლებოდა. აქედან იყო:

ქართველი	976	27,8%
რუსი	1.177	33,5 "
სომეხი	1.126	32,1 "
დანარჩენი	230	6,6 "

სულ 3.009 100,0 "

სოციალური მდგომარეობის მიხედვით აბონენტებს შორის

მუშა იყო	427	12,2%
გლეხი "	5	0,2 "
წითელარმიელი	53	1,5 "
გონებრივი მომუშავე	678	19,3 "
მასწავლებელი	2.236	62,7 "
არა-მშრომელი	110	3,1 "

სულ 3.509 100 "

პარტიული შემადგენლობის მხრივ იყო:

პარტიის წევრი	91	2,6%
უპარტიო	3.418	97,4 "

სულ 3.509 100 "

სქესის მიხედვით იყო: ქალი 1.797 (51,2 პროც.), ვაჟი—1.712 (48,8 პროც.), წლოვანების მიხედვით იყვნენ: 12 წლამდე—875 24,9 პროც.

13—48	"	1.236	35,2 "
18 წელზე ზევით		1.398	39,9 "

სულ 3.509 100,0 "

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით აბონენტებს შორის უმრავლესობას რუსები შეადგენენ (33,5 პროც.), შემდეგ—სომეხები (32,1 პროც.) და ქართველები (27,8 პროც.).

სოციალური შემადგენლობის მიხედვით დიდი უმრავლესობა მოსწავლეები არიან (63,7 პროც.), შემდეგ გონებრივი მომუშავენი (19,3 პროც.) და მუშები (12,2 პროც.). დანარჩენი კატეგორიები უმნიშვნელოა. ქალი მეტია ვაჟზე (51,2 პროც.). პარტიულები 2,6 პროც.-ს შეადგენენ. წლოვანების მიხედვით პირველ რიგში სდგას კატეგორია 18 წლიანებისა (39,9 პროც.), შემდეგ 13-18 წლ. (35,2 პროც.). კატეგორია 12 წლამდე უმცირესობაა (24,9 პროც.).

კინო-თეატრები ტფილისში 1924 წელს *)

კინო-თეატრებისა და ფართო მასების უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. აუარებელი ფული იხარჯება კინოს გადისაღებ საშუალებათა გასაუმჯობესებლად. კინოს შენობები თანდათან უმჯობესდება. სცემენ კინოს გაზეთებს.

საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში კინოში აუარებელი ხალხი დადის: იგი მეტად პოპულიარული და ფართო მასებისათვის მისაწვდომი კულტურული საშუალებაა. ახლა განზრახულია ნოდრავ კინოს გამრავლების ქსელის შემუშავება. კინო სკოლისაკენაც დაიძრა. ფიქრობენ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნებისათვის კინოს გამოყენებას.

ამიტომ კინოს ცხოვრების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკურ ცნობებს განსაკუთრებული ღირებულება ეძლევა.

განვიხილოთ მოკლეთ ტფილისის კინოების მოქმედება 1924 წლის განმავლობაში. ეს კინოებია: „მინიონი“, „პალასი“, „არტესტო“, „სოლეილი“, „აპოლო“, „გლობუსი“, „აისი“, „ოაზისი“, „სამოლიოტი“.

ზაუხულში გაიხსნა კინო-თეატრი „ეთერი“, შემდეგ წლის განმავლობაში გახსნეს „აისი“, „სამოლიოტი“ და „ოაზისი“.

ამ ეამად ტფილისში მოქმედობს ზევით ჩამოთვლილი 9 კინო-თეატრი.

სურათების აღრიცხვამ შინაარსის ხასიათისა და იმ ადგილების მიხედვით, სადაც კინოს სურათი დაუშვადებიათ 1924 წლის განმავლობაში, აგრეთვე აღნიშნულ კინო-თეატრებში მოსიარულეთა აღრიცხვამ შემდეგი შედეგები მოგვცა.

უჩვენებიათ სურათი (6 კინო-თეატრში): იანვარში—31, თებერვალში—33, მარტში—32, აპრილში—37, მაისში—26, ივნისში (ხუთ კინო-თეატრში)—18, ივლისში (7 კინო-თეატრში)—36, აგვისტოში (6 კინო-თეატრში)—43, სექტემბერში (7 კინო-თეატრში „ოაზისით“)—33, ოქტომბერში (5 კინო-თეატრში)—22, ნოემბერში (8 კინო-თეატრში „ოაზისით“ და „სამოლიოტით“)—38 და დეკემბერში (იმავ 8 კინო-თეატრში)—41 სურათი.

ამნაირად, 1924 წლის განმავლობაში ტფილისის კინო-თეატრებში უჩვენებიათ 390 სურათი. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ რიცხვში შედის ზოგი სურათის განმეორებანი სხვადასხვა კინო-თეატრებში, აგრეთვე ზოგი სერიის სხვადასხვა ნაწილები, ერთი სათაურით გაერთიანებულნი.

შინაარსის მიხედვით სურათების უმრავლესობა ყოფა-ცხოვრებითია—238 (61,0⁰/₀).

ამათში ჩათვლილია ეგრედწოდებული „დრამები“, „სალონის დრამები“ და სხვ. მათ მოსდევს ფანტასტიური შინაარსის სურათების კატეგორია—62 (15,9⁰/₀), ისტორიული სურათები—26 (6,7⁰/₀), სახუმარო—26 (6,7⁰/₀), რევოლიუციონური

*) ამოღებულია ეურნალიდან „ჩვენი აღმშენებლობა“.



—19 (4,9⁰/₀), საავტოცხო—15 (3,8⁰/₀), სანახაობითი—1 (0,2⁰/₀), სამეცნიერო—2 (0,5⁰/₀), ბიბლიური—1 (0,3⁰/₀).

სურათებში ჩათვლილია ქართველი ავტორების ნაწარმოებიდან აღებული სურათები—15 (3,8⁰/₀), რუსი ავტორების—3 (0,8⁰/₀), უცხოელი ავტ.—12 (3,1⁰/₀) სპეციალური კინემატოგრაფიული შინაარსის სურათები ყოფილა 360 (92,3⁰/₀).

სურათების კატეგორიებში, როგორც ზევით იყო აღნიშნული, იგულისხმება რამდენიმე სურათის განმეორება სხვადასხვა კინო თეატრში.

კინო-ლენტების უმრავლესობა საზღვარგარეთულია. უზენებიათ სურათი: სახელმწიფო კინო-მრეწველობისა—20, რ. ს. ფ. ს. რ.-ში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში დამზადებული სურათი—25.

ტფილისის კინოებში მოსიარულეთა რიცხვი ასეთი იყო:

იანვარში	86,043	7,6 ⁰ / ₀
თებერვალში	102.319	9,0 „
მარტში	129.689	11,4 „
აპრილში	66.359	5,8 „
მაისში	121.359	10,6 „
ივნისში	55.759	4,9 „
ივლისში	82.479	7,2 „
აგვისტოში	57.124	5,0 „
სექტემბერში	83.008	7,4 „
ოქტომბერში	109.085	9,6 „
ნოემბერში	132.225	11,6 „
დეკემბერში	113.085	9,9 „

ამრიგად, 12 თვის განმავლობაში კინო-თეატრში მოსიარულეთა რიცხვი უდრის 1.138.534-ს.

გლეხის ხანტარაღური სახლი

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 25^დ დეკემბრის დადგენილებით, ქალაქ ტფილისში საქართველოს მასშტაბით უნდა დაარსებულიყო გლეხის ცენტრალური სახლი. ეს დადგენილება, გამოწვეული საბჭოთა ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარე მოახოეხილებით, იმ დროს მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო ვერ იქნა გატარებული ცხოვრებაში და მხოლოდ 1924 წლის პირველ ნოემბრიდან მას, ე. ი., ამ დადგენილებას, თანახმად პარტიისა და უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების მტკიცე ნებისყოფისა, მიეცა რეალური სახე.

დანიშნულ იქნა გამგე ამხ. ნასარიძე და გამოყოფილი სპეციალური საორგანიზაციო კომისია, ამხ. ყურულაშვილის, ივანოე-კავცასიელის და ჟოეი-კაშვილის შემადგენლობით. დათმობილია სათანადო შენობა ვოლოდარის ქუჩაზე II—კომუნარის ბაღის პირდაპირ და საორგანიზაციო კომისიისა და გამგისათვის მიცემულ იქნა დირექტივა—სახლის ორგანიზაციის დაკერითი წესით წარმოების შესახებ, მისი 25 თებერვლისათვის, ე. ი. საქართველოს გასაბჭოების 4 წლისთავისა და საბჭოების შესამე ყრილობის დღისათვის სრული გამზადების მიზნით.

ამთავითვე საორგანიზაციო მუშაობას ფრიად აფერხებდა მატერიალურ საშუალებათა უქონლობა, თვით საქმის სირთულე და სხვა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები, მაგრამ თავგადადებულმა შრომამ, საქართველოს საბჭოთაბჭოსი და ქალაქ ტფილისის აღმასკომის განკარგულებაში მყოფი ტეხნიკური ძალებისა და საერთოდ თითქმის ყველა ტფილისში არსებული დაწესებულება—ორგანიზაციების დახმარებამ შექმნა ის პირობები, რომლის ძალით ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ნიერ მოკეწული დირექტივა გლეხის ცენტრალური სახლის 25 თებერვლისათვის გამზადების შესახებ, სავსებით იქნა შესრულებული.

საქართველოს საბჭოების შესამე ყრილობის მოწვევის ვადის გადადებამ, გამოიწვია თვით სახლის ოფიციალური განხნის დღის გადადება, ასე რომ სახლი 25 თებერვლის ნაცვლად ოფიციალურად გაიხსნა 7 აპრილს, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სახლმა მუშაობა დაიწყო ერთი თვით ადრე.

რისთვის არის დაარსებული გლეხის ცენტრალური სახლი, რა დავალება, რა ამოცანები არის დაკისრებული მასზე?

სოფლისა და ქალაქისა, გლეხისა და მუშის მკიდრო კავშირი, აი ის მთავარი საკითხი, რომელიც დასმულია პროლეტარიატის მიერ დღიურ წესრიგში. ამ მხრივ არის მიტეული როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების ორგანოების მთავარი ყურადღება.

სოფლის ეკონომიური გაჯანსაღება და აღორძინება, გლეხობის პოლიტიკური აქტიუობის ზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა, გლეხისათვის ტფი-

ლისში ჩამოსვლის დროს ხელის შეწყობა მისი საქმეების დაჩქარებისა და დამაკოფილების მხრივ, მუშებისა და წითელ-არმიელების გაცნობა და საერთოდ გლებისა და პროლეტარიატის ცხოვრების პირობების ურთი-ერთ გაცნობა და შეთვისება, აი რაში უნდა გამოიხატოს ეს კავშირი.

გლების ცენტრალურ სახლთან არსებობს ორი განყოფილება—საადმინისტრაციო-სამწეო და კულტურულ-განმანათლებელი.

საადმინისტრაციო-სამწეო განყოფილებას ევალება მიიღოს და აღმოუჩინოს ჩამოსულ გლებს ყოველმხრივი სამეურნეო ხასიათის სამსახური. ამის და მიხედვით ამ განყოფილებაში შედის შემდეგი ნაწილები: საერთო საცხოვრებელი 28 ოთახი—65 საწოლით, აბანო, სადღეზინფექციო კამერა—საიზოლაციო პუნქტი, საწყობები და ბაკი. მასვე ემორჩილება არსებული წითელი სასადილო.

ეს მუშაობა სწარმოებს სახლზე მიმაგრებულ 17 სპეციალისტის საშუალებით და გამოიხატება იმაში, რომ სეზონურად—თვით აუდიტორიის მიერ თემის არჩევით, იმართება ყოველდღიურად მოხსენებები და საუბრები, საერთო კრებები მუშებისა და წითელ-არმიელების ერთად, ექსკურსიები სხვადასხვა წარმოებებში, ყოველდღიური გასართობები, მაგალითად, კინო და თეატრები.

სახლს ამ ხანად ერთდროულად შეუძლია მიიღოს 80 კაცი—ე. ი. წლიურად საშუალოთ სახლში გაივლის 10.000 კაცზე ნეტი. ამ ცოტა ხანში საწოლების რაოდენობის გადიდების შემდეგ—ეს რიცხვი აღემატება 20.000 კაცს.

სახლი არსებობს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან. საერთო ხელმძღვანელობას სახლს უწევს ეგრედწოდებული გლების ცენტრალური სახლის საბჭო, რომელიც შესდგება საორგანიზაციო კომისიის დაშლის შემდეგ და რომელიც შესდგება სხვადასხვა სახალხო კომისარიატების, დაწესებულება—ორგანიზაციების მიერ წარმოგზავნილ 15-მდე წარმომადგენლისაგან. საბჭოსაგან გამოყოფილია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—თავმჯდომარედ და გლებთან დამხმარე ცენტრალურ ბიუროსი და გლების ცენტრალური სახლის გამგე. საბჭო გადასწყვეტს სახლის მუშაობის პროცესში წამოჭრილ საკითხებს.

უშუალოთ განაგებს სახლს სახლის გამგე.

ჯეო-სპეცალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური „ჯ ა ტ ე ს“

გასული საუკუნის 90-იან წლებიდან ქალაქ ტფილისში ძალზე შესამჩნევად იწყო მრავლება სათბობ მასალების შემწეობით მომუშავე (თბობრი) კერძო წვრილმან ელექტრონის სადგურებმა, როგორც საზოგადო მოთხოვნილების, აგრეთვე სხვადასხვა მრეწველობათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

საერთაშორისო ომის წინ ასეთი ელსადგურების რიცხვი აღემატებოდა 40, რომელთა სიმძლავრე ერთად შეადგენდა 9,500 ცხენის ძალას, ცალ-ცალკე კი დაწესებული 10 ცხ. ძალიდან 2,900 ცხ. ძალამდე, გარდა ამ ელსადგურებისა ომის წინ ტფილისში ცალკე სამრეწველო დაწესებულებებში დაყენებული იყო სხვადასხვა საშუალებით და სისტემით მომუშავე მამოძრავებლები საერთო სიმძლავრით დაახლოვებით 6,000 ცხენის ძალით.

ელსადგურების და ძრავების მთელ ქალაქის სივრცეზე ამ სახით დაწერილმანებით მოფანტვა წარმოადგენდა ყოველ მხრივ საფრთხივით მიზანშეწონილობას. აუარებელი იყო უმიზნო, მაგრამ ამ სისტემით მუშაობისათვის აუცილებელი, ხაეკსპლუტაციო ხარჯები, სიმძლავრის დაკარგვა; სადგურები შენდებოდა უგუგმოდ, მნიშვნელოვანი და ჩქარი მოვების პერსპექტივებზე დაყრდნობით.

რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის საბნეო ცხოვრებაში მისი ელექტრონით კვება და რამდენად ძვირი უჯდებოდა ეს მცხოვრებლებს ცხადად ჩანს მარტო იჭიდანაც, რომ ყოფ. ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობების საბჭოების ანგარიშებით ტფილისის მოთხოვნილება სათბობ მასალებზე შეადგენდა 20% ბაქოდან ამიერ-კავკასიისათვის გამოზიდულ ნავთობის სათბობის მთელი რაოდენობიდან.

ომის წინ ქალაქ ტფილისისათვის დახარჯული სათბობი მასალების ღირებულება ყოველწლიურად შეადგენდა 2,150,000 მანეთს ოქროთი.

ქალაქის მოთხოვნილება ელექტრონის ენერგიაზე დღითი-დღე ნატულობდა და მან უკანასკნელ წლებში მიიღწია უკიდურეს წერტილამდე და გახდა სნეულ ადგილად, რადგანაც წვრილმანი ელსადგურების უეკონომიობამ თავის-თავად გამოიწვია ელექტრონზე მალალი ტარიფების დაწესება. ვასათობი ენერგიის ფასი დაწესებული იყო კილოუატ-საათი 20 კაპ. მუშების ბინებისათვის, 35 კაპ. მოსამსახურეებისათვის და 70 კაპიკამდის სავაჭროებსა და დუქნებისათვის, რაც ელექტრონის განათებას შედარებით ნავთით განაგრებსთან მიუღებლად ხდიდა. განსაკუთრებით მწვავედ იდგა საკითხი მოტორების ამუშავებისათვის საჭირო ელექტრონის შესახებ, რომლის ღირებულება დაწესებული იყო 50 კაპ. კილოუატ-საათი. ასეთი ტარიფის დაწესება ამკრძალავ საშუალებად უნდა ჩაითვალის; ის გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა წვრილ და შინა-მრეწველო-

ბას, რომლითაც არსებობდა ტფილისის მცხოვრებთა უმრავლესობა. მსხვილი მრეწველობა ქალაქში არ იყო და წერილი კი ვერ იარსებებდა და ვერ განვითარდებოდა იაფ-ფასიანი ენერჯის უქონლობის გამო, რაც კნინდა უმუშაოების და მასთან დაკავშირებულ ქალაქის ეკონომიურ კრიზისს.

აი ის გარემოებანი, რამაც გამოიწვიეს მძლავრი ელსადგურის აგება, რომლის მიზანშეწონილობა და ეკონომიური სარგებლიანობა ყოველმხრივი პერსპექტივებით უზრუნველყოფილი იყო.

ქალაქ ტფილისის ელექტრონით მომარაგებისათვის მძლავრი ელსადგურის აგების საკითხი დაყენებული იყო ყოფ. ქალაქის თვითმართველობის წინაშე, როგორც სავსებით მომწიფებული და რეალური საკითხი, რომელიც საჭიროებდა გადაუდებლად პრაქტიკულად გადაჭრას, კიდევ 20 წლის წინად. ამ საკითხის ირგვლივ განუწყვეტლივ სწარმოებდა ერთგვარი მუშაობა.

1904—5 წელს მოწვეულმა ბელგიის ერთმა ინჟინერმა მატცემ შეადგინა მდ. მტკვარზე მადათოვის კუნძულთან ჰიდრო-ელსადგურის აგების გეგმისაზრისი. 1907 წ. ინჟ. ანდრეევა და ზვორიკინმა წამოაყენეს სოფ. წიწამურთან მდ. არაგვზე ჰიდრო-ელსადგურის აგების გეგმისაზრისი. 1910—1912 წლებში ქალაქის თვითმართველობას მრავალი უცხოელი პირი სთხოვდა ჰიდრო-ელსადგურების საშუალებით ტფილისის ელექტრონის ენერჯით მომარაგების კონცესიას. მაგრამ ეს საკითხი 1914 წლამდის როგორღაც ვერ იქნა გადაჭრილი, ხოლო 1914 წელს დაწყებულმა საერთაშორისო ომმა ის სრულიად მოხსნა დღის წესრიგიდან.

რევოლუციის შემდეგ ეს საკითხი ხელახლა წამოიჭრა და კანტი-კუნტად შეიქნა მის ირგვლივ განახლებული მუშაობა.

1920 წელს ყოფ. ქალაქთა კავშირმა წამოაყენა სოფ. არუხლოსთან მდ. ხრამზე ტფილისისათვის ჰიდრო-ელსადგურის აგების საკითხი.

შემდეგი მუშაობა ამ მხრივ სწარმოებდა საბჭოთა ძალი-უფლების დამყარების შემდეგ. ს. მ. ჟ. ს. „ჰიდროსტროიმ“ წამოაყენა ინჟ. მელიქ-ფაშაევის იდეით განზრახული სოფ. ზემო-ავჭალასთან მდინარე მტკვარზე ჰიდრო-ელსადგურის გეგმისაზრისი და როდესაც 1922 წლის დასაწყისში მწვავედ იდგა ქალაქის წყალსადენისათვის და სხვა საჭიროებისათვის ელექტრონის ენერჯის მოწოდების საკითხი, ტფილაღმასკოში ერთის მხრივ აპირებდა თბობრი ელსადგურის აგებას, ხოლო მეორეს მხრივ საესებით ყალიბდებოდა თბობრი ელსადგურის უკუგდებისა და მძლავრი საიმედო ჰიდრო-ელსადგურის აგების აზრი.

ტფილაღმასკოში 1922 წელს 27-V სხდომაზე მიიღო პრინციპიალურად მძლავრი ჰიდრო-ელსადგურის აგება და სპეციალური კომისიის მიერ განხილული მთელი წყება ჰიდრო-ელსადგურების გეგმისაზრისებიდან ამორჩეული იქნა სოფ. ზ.-ავჭალასთან მდინარე მტკვარზე განზრახული ელსადგურის გეგმისაზრისი, რომლის განხორციელებას ტფილაღმასკოში შეუდგა იმავე წლის მეორე ნახევარში.

სოფელი მცხეთის დაბლა ძველის-ძველი მცხეთის ჯვარის მონასტრის ძირში, სადაც მდინარე არაგვი უერთდება მდინარე მტკვარს, ქ. ტფილისიდან 12



ვერსის მანძილზე მდ. მტკვრის მიმართულებით 1922 წელს 10-IX 4000 ტფილისის მუშამ „ეოსკრესნიკის“ მოწყობით ხალისიანად დაარტყა პირველი ბარი და გააღლო პირველი კვალი უსწორო-მასწორო, ბუჩქებით და ჩირვებით დაფარულ მიწაზე, რასაც თუმცა ნივთიერად არ ქონდა დიდი მნიშვნელობა, მაგრამ არსებითად ის გახდა ისეთი მნიშვნელოვანი, რომ უზარმაზარი ნაშენი, რომელიც ზევს მაშინ ფანტაზიად წიახნდა, გადაიქცა მომხდარ ფაქტად.

ამ ადგილის სახელი არის ზემო-ავჭალა, საიდანაც წარმოიშვა „ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგური“ (ზაპეს).

ზაპესის ნაშენები განიყოფება 3 ნაწილად: სათავო ნაშენები, მთავარი არხი ხელოვნური ნაშენებით და ბოლო ნაშენები. დედა-არხი ზაპესის გემოსხარისისა არის შემდეგი—მდინარე მტკვრის ეიწრო-კლდოვან კალაპოტში მდ. არაგვის მდ. მტკვართან შეერთების დაბლა აწენდება მთავარი საგუბარი, რომელიც წყალს შეატბორებს, შეტბორებული წყალი, თავისი ხელოვნურად აწეული დონის გამო გადავა 3 კილომეტრის სიგრძიან მთავარ არხში, რომლის საშუალებით მოყვანილი იქნება გენერატორულ-ცენტრალურ სადგურში, სადაც 18 მეტრის სიმაღლიდან დაცემის სიმძლავრით ამუშავებს მანქანებს.

წყალსაკრეფთა აუზი და მისი კვება

ხსენებული მთავარი არხის დასაწყისი ადგილის და მთავარი საგუბრის ზევით მდებარეობს შეტბორების უბანი მდ. მტკვრის შეყოლებით 8 ვერსის მანძილზე ეიწრო, კლდოვან, უმოსახლო ქალაში და მდ. არაგვის ფართოდ გაშლილ კალაპოტში 2 ვერსის მანძილზე ბებრის ციხის ნანგრევამდე.

ბუნებრივი დაცემა მდ. მტკვრისა მიმგვრელ უბანზე შეადგენს 4,22 საე. ანუ 1 ვერსზე 1,28 საე., შეტბორებულ უბანზე-კი 6,93 საე. ანუ 1,10 საე. 1 ვერსზე, ბუნებრივი დაცემა მდ. არაგვისა შეტბორებულ უბანზე უდრის 7,93 საე. ანუ 3,0 საე. 1 ვერსზე.

არჩეული მიმგვრელი უბნის დასაწყისამდე მდინარე მტკვრის მკეები წყალსაკრეფი აუზის ფართი უდრის 20476 ოთხკ. კილომეტრს. ამ საერთო წყალსაკრეფ აუზიდან 17,762 ოთხკ. კილომეტრი ანუ 86,5% ხედება მდ. არაგვს.

ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის მრავალი წლის განმავლობაში თვალყურის დევნით შედგენილი მოცემულებების თანახმად საერთო წყალსაკრეფი აუზის ფართზე ყოველწლიურად დაცევილი ნალექის სიმაღლე საშუალოდ უდრის 601 მ.მ.

მდინარე მტკვრის წყალსაკრეფ აუზის ფართზე (მდ. არაგვთან შეერთებამდე) ყოველწლიურად საშუალოდ დაცევილი ნალექის სიმაღლე უდრის 566 მ.მ., ხოლო მაქსიმალური წლიური დაცევილი ნალექის სიმაღლე ამ წყალსაკრეფი აუზის ნაწილში უდრის 629 მ.მ.

მდინარე არაგვის წყალსაკრეფ აუზში ყოველწლიური საშუალოდ დაცევილი ნალექის სიმაღლე უდრის 900 მ.მ. და ადის მიქსიმალურად 1639 მ.მ.-მდე. მდინარე მტკვრის წყალსაკრეფი აუზი უმეტეს ნაწილად ეკუთვნის მთიან



მიდამოებს და არსად არ სწვდება ყინულიან და მუდმივ თოვლიან ადგილებს; ხოლო მდინარე არაგვის წყალსაკრეფი აუზის ზედა მხარეში მნიშვნელოვანი ნაწილი ხვდება კაკასიის მთავარი ზურგის ყინულიან და მუდმივ თოვლიან ზოლს, რის წყალობით ზაფხულში თოვლის დნობის დროს მდინარე არაგვის მოაქვს მნიშვნელოვანი წყლის რაოდენობა, მაშინ, როცა ნდ. მტკვარში არის ზაფხულის მინიმალური წყალი.

იმ დროს, როდესაც გაზაფხულის წვიმების დროს მდინარე არაგვის მოაქვს მხოლოდ 0,15 მდ. მტკვრის დენისა, ზაფხულის ცხელ თვეებში, თოვლის დნობის დროს არაგვის ჩადენა შეადგენს მდინარე მტკვრის ჩადენის 0,42-ს, თუმცა მისი წყალსაკრეფი აუზის ფართი შეადგენს საერთო წყალსაკრეფი აუზის ფართის მხოლოდ 0,135 ნაწილს.

მდინარე მტკვრის და მდინარე არაგვის (ერთნაწილად შეერთებამდე) ასეთი თვისებების წყალობით შესაძლებელი გახდა წყალსაკრეფი აუზის საშუალებით წყლის ხარჯვის გამოსწორება და მისზე ზაფხულის ცხელი თვეების მცირე წყლობის გავლენის დაძლევა.

წყლის ხარჯი

ზემო-აეკალის ჰიდრო-ელსადგურისათვის ანგარიშში წყლის ხარჯად მიღებულია სამი მცირეწყლოვანი წლის 1913, 1917 და 1918 საშუალო ხარჯი.

მ თვის წყლის ხარჯი მდ. მტკვრისა, რომელიც გადატანილ იქნება არხში უდრის 80 კუბ. მეტრს წამში და ამ ხარჯის დღე და ღამის დონეების წყალობით ორჯერ ვადიდებით-კი 160 კუბ. მეტრს წამში. წლის მუდმივი სიმძლავრის განსაზღვრული სამრეწველო მინიმუმი არის 4,5 მ.³ წამ. და დღე-ღამის დონეების დატვირთვის შეუბისათვის—91 მ.³ წამ.

მდ. მტკვრის მაქსიმალურ კატასტროფიულ ხარჯად ანგარიშში მიღებულია 1500 მ.³ წამ.

წყლის დაცემა

წყლის უმაღლესი შეტბორების მუშა დონეზე ყოფნის (მთავარი საგუბრის წინ ნიშ. 209,75 საყ.) და მისი ცენტრალური სადგურის ტურბინების შემწოვი მილებიდან უმდაბლეს დონეზე (ნიშნ. 198,60 საყ.) გამოსვლის დროს ზემო-აეკალის ჰიდრო-ელსადგურის გამოყენებული უბანის წყლის დაცემა ბრუტტო უდრის 23,8 მეტრს, ამ დაცემიდან 14,8 მეტრი ანუ 62% შექმნილია საგუბრის შეტბორებით და 9 მეტრი ანუ 38% ხვდება მთავარ არხს.

დაკარგული წყლის დაცემის გამოკლებით, ცენტრალურ სადგურთან წყლის სხვადასხვა დონის მიხედვით, ცენტრალურ სადგურთან წყლის წანევის ნეტრო შეადგენს:

უდიდესი	21,2 მეტრი	„
საშუალო	18,85	„
უმცირესი	14,92	„



დღე-ღამის დონეების აუზი

მდ. მტკვრის ვიწრო 25 საყ. საგანის კალაპოტში მოთავსებული მთავარ სა-
გუბარის ზეით უშუალოდ მდებარე მდ. მტკვრის ჭალა განიერდება 100 საყენა-
ზღე და ამ გაფართოებულ ჭალას უერთდება მდინარე არავგის ფართო ჭალა-
ნახევარი ვერსის სიგანით. ეს შეერთებული არე უშუალოდ საგუბართან ქმნის
დიდ წყალსანახევს წყლის სარკის ფართით 2 ოთხკ. კილომ. ამ შეტბორებულ
აუზის ზედა 1¹/₂ მეტრის სისქე 3 მილიონი კუბიკური მეტრის ტეობით გამო-
ყენებული არის სადგურის სიმძლავრის დღე-ღამის დონეებისათვის—სადგურის
ნციარედი დატვირთვის დროს წყლის მოგროვებით და სადგურის მაქსიმალურად
დატვირთვის საათებში მისი დახარჯვით.

ტფილისისათვის მიღებული წყლის ზუბის საშუალო დღე-ღამის სიმძლავ-
რის დატვირთვისთან 2: 1 შეფარდების დროს დღე-ღამის დონეებისათვის ასეთი
მნიშვნელოვანი ტეობის წყალსანახევის არსებობა საშუალებას იძლევა ორჯელ
გადიდებულ იქნეს სადგურის დაწესებული სიმძლავრე საშუალო დღე-ღამის სი-
მძლავრესთან შედარებით და გამოყენებულ იქნეს წყლის მთელი ენერგია მცი-
რეწყობის პერიოდში.

ეს გარემოება წარმოადგენს ზაჰესის გამოყენებული უზნის დიდ უპირატე-
სობას.

ს ი მ ძ ლ ა ვ რ ე

ზემო-მოყვანილი წყლის ხარჯის ანგარიშების და წნევის და ტურბინების
0,8 მარგი ქმედობის კოეფიციენტის მიხედვით ზემო-აეკალის ჰიდრო-ელსადგ-
ურს აქვს შემდეგი სიმძლავრე: მუდმივი წლიური საშუალო დღე-ღამის (24 საათ.)
სიმძლავრე—9,000 ცხ. ძალა, მუდმივი წლიური მაქსიმალური დღე-ღამის სი-
მძლავრე 18,000, ექვსი თვის მაქსიმალური დღე-ღამის სიმძლავრე—36,200.

ზაჰესის არბი და ყველა ჰიდრო-ტეხნიკური ნაშენები აგებულია სრული
ექვსი თვის სიმძლავრისათვის—36,200 ცხ. ძალა. ხოლო ცენტრალური-გენერატორულ-
ლი სადგური და მისი ელექტრომექანიკური მოწყობილობა პირველად აგებულია
მუდმივი ყოველწლიური სიმძლავრისათვის—18,000 ცხ. ძალა. ანგარიშით, რომ
შემდეგში ენერგიაზე მოცხოვნილების გადიდების დროს აყვანილი იქნეს სადგუ-
რის მოწყობილობა დანატებითი აგრეგატების დაყენებით სრულ სიმძლავრემდე
36,200 ცხ. ძ-მდე.

ზემო-აეკალის ჰიდრო-ელსადგური მდებარეობს 12 ვერსის მანძილზე ქ.
ტფილისიდან. მანძილი ეს შედარებით უმნიშვნელოა, რაც საშუალებას იძლევა
იაფად იქნეს მოწყობილი ელექტრონის ტფილისში გადმოცემა და თავიდან აცი-
ლებული დიდ მანძილზე ელექტრონის გადაცემის დროს ენერგიის აუცილებელი
დაკარგვა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ზაჰესის სათავის ნაშენები მოთავსებულია სოფ. მცხეთის დაბლა 1 ვერსით,
ძველი მცხეთის—ჯვარის ანუ მწირის ნონასტრის ძირში. ის შესდგება მთავარ
საგუბრიდან, განათხარიდან მცირე კაშხალით და წყალნიშწოდებიდან.

ა) მთავარი საგუბარი

მთავარი საგუბარი აგებულია მდინარე მტკვრის ვიწრო-კლდოვან კალაპოტში, სადაც უკანასკნელის სივანე შეადგენს 33 მეტრს. წყლის უმაღლესი შეტბორებული ნუშა დონეს ნიშანი (შავი ზღვის დონედან) არის 447,52 მეტრი. საგუბრის საერთო სიმაღლე მდინარის ძირიდან უდრის 16,52 მეტრს, რომლიდან ყრუ ნაწილის სიმაღლე (წყალსაშვი ზღურბლი) მდინარის ძირიდან არის 9,52 მეტრი. შექმნილი შეტბორების სიმაღლე წყლის დაბალ დონედან უდრის 14,52 მეტრს.

საგუბარი შესდგება ძირა ყრუ წყალსაშვი ზღურბლიდან, რომელზეც დაყენებულია სტონეის სისტემის სამი მქალაერი ფარი თითო ზომით 13,7 მეტ. საგუბარის საფარო ხერცტების გაშვების უნარი უდრის 1500 მ.³ წამ. საგუბრის ორივე გვერდით მოთავსებულია წყალსაშვები: მარჯვნივ—გადამწოვი წამში 80 კუბ. მეტრის გამშვების უნარით, მარცხნივ—ჩვეულებრივი წყალსაშვი განით 13 მეტრი, რომელზეც მოთავსებულია გარდასაშლელი სარქველები ყინულის და წყალში მოცურავე ნივთების გასაშვებად.

საგუბარი აგებულია ბეტონისაგან და დაქრდნობილია კლდოვან ნიადაგზე; მისი ზღურბლის წყალსაშვის წინა ნაწილი და ბურჯების ფარების ხერცტების ძირა ნაწილები მოფენილია გრანიტის ქვებით, რათა საგუბარი დაკული იქნეს დიდი სიჩქარით წყალსაშვებზე გადასული წყლის დამრღვევ მოქმედებიდან. ქვედა შხრიდან ძირის გამორეცხას თავიდან ასაცილებლად, საგუბრის წინ მოწყობილია წყალმცემი ბანი სიგრძით 17,2 მეტრი ბეტონის საძირკვლებზე მოფენილი გრანიტის ქვებით და ბოლოში შეზღუდული კლდის ფენამდე ჩაშვებული ბეტონის კბილით. საგუბრის მოვლისათვის და ამწევი მექანიზმების მოსათავსებლად მოწყობილია ორი სისტემის რკინა-ბეტონის ბოგები.

ზედა ბოგებს აქეთ განი 4 მეტრი, მათზე დაყენებულია სტონეის სისტემის ფარების ამწევი მექანიზმები.—ქვედა ბოგებს—3 მეტრი, ისინი განზრახულია ხალხის გასასვლელად.

შანდორების დასაყენებლად საგუბრის ზედა შხრიდან გაკეთებულია ლითონის გზა, რომელიც უერთდება სპეციალურ მოწყობილობაზე გადასვლით განათხარს. ამ გზის შემწეობით მოხილული იქნება, როგორც მთავარი საგუბრის, აგრედვე განათხარის მცირე საგუბრის შანდორების ამწევის და ჩაშვებისათვის საჭირო შანდორები და ჰიდრაულიური ამწები.

მთავარი საგუბრის მარჯვენა მხარეზე გადამწოვი წყალსაშვის გვერდით აგებულია სპეციალური მოწყობილობა—დენილ.ის სისტემის თევზთსავალი, რომლის დანიშნულებას უმათავრესად შეადგენს კასპიის ზღვიდან გაზაფხულზე მდინარე მტკვრით მდინარე არაგვი და ლიახეში ქვირითის დასაბნევეად შიშვავლი ორაგულის გაშვება.

ბ) განათხარი

მთავარი საგუბრის მარცხენა მხარეზე აგებულია კლდოვან ნიადაგში ხელოვნურად გათხრილი ნაშენი—ბეტონით ამოფენილი კალაპოტი, რომლის ძირი დაყვანილია ნიშნამდის 430,51 მეტრი.

განათხარია აგებულია როგორც მთავარი არხის წყალმიმღების ზღურბლის გამორეცხი რაბი და გამწმენდი და დამცლელი ხერეტი წყალსანახავისათვის. განათხარში ამოყვანილია ბეტონის მცირე საგუბარი ზედა ნიშანი 449.12 მეტრი—მას ძირა ნაწილში აქვს ორი ხერეტი ზომით $6 \times 7 \frac{1}{2}$ მეტრი თითო, წყლის გასაშვებად, ვინაიდან წყლის დენას აქ დიდი სიჩქარე აქვს, რასაც შეუძლია დამრღვევად იმოქმედოს—განათხარის ქვედა ნაწილი მოფენილია გრანიტის ქვებით. ორი ძირა ხერეტები გადაფარულია სტონენის სისტემის ორი ფართი; უკანასკნელების წინ დაყენებულია შანდორები ფარების გაფუქების ანუ შეკეთების შემთხვევისათვის.

პირველად განათხარმა დახმარება გაუწია მთავარი საგუბრის აგების საქმეს, რადგან მასში აგებული იქნა მდ. მტკვარი და ჯებირებით გადაღობილ მტკვარის კალაპოტში, საიდანაც დარჩენილი წყალი ამოტყეული იყო ტუმბოების საშუალებით, აიგო მთავარი საგუბარი.

განათხარის წყლის გაშვების უნარი მთავარი საგუბარის აგების მუშაობის წარმოების დროს შეადგენდა 500 მ.³ წამ. (ზამთრის თვეებში), ხოლო მთავარი საგუბრის აგების დამთავრების შემდეგ შეტმობრებული წყლის დონის დროს მისი გაშვების უნარი არის 920 მ.³ წამ.

წყალმიმღები

წყალმიმღები მიკრულია განათხარზე მარცხენა მხარედან. ის წარმოადგენს არხის გაფართოებულ დასაწყის ნაწილს, რომლის დანიშნულებას შეადგენს არხში შესვლის დროს წყლის წნევის შემცირება და არხის დაცვა ძირზე დასილული დანალექისაგან და წყალში მოცურავე ნივთებისაგან. წყალმიმღების ზღურბლის ნიშანი არის 443.10 მეტრი, ე. ი. ის 12.59 მეტრით მაღლაა ვიდრე განათხარის ძირი და 2,50 მეტრით მაღლა ვიდრე მთავარი საგუბრის წყალსაშვები ზღურბლი.

წყალმიმღების შესავალი ზღურბლი, მის წინ გაკეთებული ტლანქი გისოსით, დაცულია წყალში მოცურავე ნივთებიდან, წყალმიმღების ძირი მასზე დასილულ დანალექისაგან გაწმენდისათვის, გაკეთებულია დიდი დახრით და 78,40 საე. სიგრძეზე დაცემა მისი უდრის 2,115 საე. ამ ძირის დაცემულ ბოლოში, არხთან შეერთების ადგილზე, მოწყობილია მრუდხაზოვანი ზღურბლი სიმალით 2,38 მეტრი, რომლის საშუალებით დალექილი ნაყარი წყლით გადადენილი იქნება იქვე მარჯვნივ მოწყობილ გამრეცხ რაბში. გამრეცხი რაბი თავის ძირა ნაწილში მომარაგებულია ორი ხერეტით ზომით თითო $4,70 \times 3,20$ მეტრი; ხერეტები გადახურულია ლითონის ფარებით, საიდანაც წყლის მიერ გამორეცხილი იქნება წყალმიმღების ძირი.

წყალმიმღები თავის ბოლო ნაწილში მთავარ არხში შესვლის ადგილზე შევიწროებულია თვით არხის ზომამდის, სადაც აგებულია სთაყო რაბი ორი ხერეტით თითო ზომით $5,76 \times 4,69$ მეტ. ხერეტები გადახურულია თვლებიანი ლითონის ფარებით.

სათავო რაბის დანიშნულებას შეადგენს არხში წყლის გაშვების ღონება და არხის სრულიად დახურვა მისი შეკეთების ან სხვა რაიმე საჭიროების შემთხვევაში.

მთავარი არხი

• მთავარი არხი იწყება უშუალოდ წყალმიწების სათავო რაბიდან (პალობი № 200) და მიჰყვება მდინარე მტკვრის არსებული კოლაპტის მარცხენა ნაპირზე ქ. ტფილისისკენ მიმართულებით ა. კ. რკინის გზების დილომის ხიდად; მისი საერთო სიგრძე საწნეო აუზამდე (პალობი № 30+28 საე.) უდრის 2 ევრსს და 428 საე. ბოლო ნიშანით 206,052 საე. არხის დასაწყისი და ბოლო ნაწილის ნიშნები სხვაევა უდრის 0,428 საე. არხის დახრა მიღებულია 0,0003, ის გამოანგარიშებული არის წამში 160 კუბ. მეტრი წყლის გაშვების უნარით, ძირი აქვს სიგანით 3,80 საე.—ფერდილები ერთ-ნახევრიანი. მასში წყალს ექნება სიღრმე დაბალი ნუშა დონის დროს 5,80 მეტრი და მაღალი დონის დროს 6,77 მეტრი.

ენიდან დღე-ღამის ღონეების მარაგი მოთავებულია არხის დასაწყისში, არხს აქვს თვით-ღონეების თვისება, რაც შესაძლებლად ხდის მასში წყლის ღონეების რყევას დაწყებული ცარიელი წყალსანახავის დროს უმდაბლესი მუშა დონიდან საგუმბრის ზევით სავსე შეტბორებულ წყალსანახავის და ტურბინების სრულიად გაჭრების დროს უმაღლეს დონემდე (ჰიდროსტატიკური დონე).

არხი მთელ სიგრძეზე მოფენილია ბეტონით, რათა შემცირებული იქნეს წყლის წურვა და მქისეს კოეფიციენტი.

არხი შესდგება 11 სწორხაზიან და 10 მრუდხაზიან უბანიდან. არხის მთელ სიგრძეზე აგებულია სამნიშვნელოვანი ხელოვნური ნაშენები—ორი ბეტონის მილი არხის ქვეშ ზემოთბის (მარცხენა) მხარიდან ნაწვიმარი და ნიაღვრის წყლების გასაშვებად და ერთი გზატკეცილის ხიდი.

პირველი ბეტონის მილი

პირველი ბეტონის მილი აგებულია პაციანთხევის ხრამზე არხის პალობზე 14+4,50 საე. მილს აქვს რკინის გზების ყრილებისათვის საერთოდ მიღებული კოლოფური კვეთი. ზერეტის სიგანე უდრის 2,50 საე. საერთო სიგრძე აქვს 33,565 საე. მილი დაყოფილია 14 რგოლად. მისი შესავალ ადგილთან მომარაგებულია ბეტონის სათავი, მდ. მტკვარში გამავალ ბოლოში-კი აგებულია სამაგრი კედელი მდინარედან წყლის მიერ მისი ძირის მოსალოდნელი გამოცხიდან დასაცავად. მისი საძირკველი დაყრდნობილია კლდეზე. მილს აქვს დახრა 0,004 საე. მას შეუძლია წამში 4,66 კუბ. საე. წყლის გაშვება.

მე-2 ბეტონის მილი

მე-2 ბეტონის მილი აგებულია არხის პალობზე 21+40 ამ ადგილზე ზემოთბის მხარიდან წვიმების დროს გაფანტულ სახით მდინარე მტკვარში ჩამოდის ნაწვიმარი და ნიაღვრის წყლები წამში 4,5 კუბ. მეტრის რაოდენობით. ზაქე-



სის არხის გაყვანის გამო ამ წყლების გზები მდ. მტკვრისაკენ გადაჭრილ იქნა— ხოლო წყლებს კი გასაშვები გზა უნდა მისცემოდა. სწორედ ამ მიზნისათვის არის აგებული ეს მეორე მილი, რომლის ტიპი და ზომები თითქმის ისეთია, როგორც პირველი მილისა.

ხ ი დ ი

არხის პალომზე 23×არსებული საგურამოს ყაშირის გზის გადასაყვანად არხზე აგებულია რკინა-ბეტონის ხიდი. ხიდი არის ერთმანძიანი, თალიანი, პარაბოლიური მოხაზულობისა. მანძი უდრის 30 მეტრს. ხიდის საერთო სიგრძე არის 41, 925 მეტრი, სივანე-კი 6,38 მეტრი—მოძრაობის სივანე 4,48 მეტრი.

საწნეო აუზი და საწნეო მილები

მთავარი არხი პალომზე 30+28 თავდება და უერთდება საწნეო აუზს. უკანასკნელი წარმოადგენს ბეტონით ამოფენილი არხის გაფართოებულ ნაწილს. მისი დანიშნულება არის ტურბინების მუშაობის დროს ავტომატიური რეგულიატორების მოქმედებით გამოწვეული წყლის დონეების დიდი რყევის შეწყობა. საწნეო აუზის წინა კედელი წარმოადგენს საგლუბარს, რომელშიც ჩაკეტიებულია ლითონის საწნეო მილების თავები. საწნეო მილების შესავალი ხერხტების წინ დაყენებულია დამცველი ლითონის გისოსები და ჩამკვეტი ფარები ზომით 6,25+4,80 მეტ.

საწნეო აუზის ორივე გვერდით მოწყობილია ორი ფარით გადახურული გასაშვები ხერხტები ზომით 1,9×1,4 მეტ. გისოსის ზღურბლის გამოსარეცხად და არხის წყლიდან დასაცლელად. ამის გარდა გამოსაშვებ ხერხტების გვერდით მოწყობილია 2 ავტომატიური გადამწოვი წყალსაშვები თითო წამში 22 კუბ. მეტრი წყლის გაშვების უნარით, რომელთა მიზანი არის უპასუხოს ტურბინებს უცხად გაჩერების დროს წყლის აწევისას. საწნეო აუზიდან წყალი მიყვანილია ცენტრალურ სადგურის ტურბინებთან 3,7 მეტრის დიამეტრიან ფოლადის მოქლონილი მილების საშუალებით. პირველ რიგში დაყენებულია ოთხი მილი 4 დაყენებული ტურბინის საპასუხოდ. საწნეო მილები დალაგებულია მთლიანი კლდის საწოლზე და ზევიდან დაფარულია მიწის ნაყარით თბიდანდის გავლენიდან დასაცავად.

ვინაიდან საწნეო აუზი მოთავსებულია ა. კ. რკინის გზის ზედა მხარეზე, ცენტრალური სადგური-კი ქვედაზე, ხოლო საწნეო მილები სერაგენ მას, რკინის გზაზე გადასასვლელად მოწყობილია რკინის ოთხმანძიანი ვიადუკი (ხიდი), რომელზეც გაყვანილია ა. კ. რკინის გზის ხაზი. ვიადუკის მანძებში ჩალაგებულია საწნეო მილები.

ცენტრალური სადგური

ცენტრალური სადგური მოთავსებულია ა. კ. რკინის გზის ქვედა მხარედან მტკვრის პარტებნა ნაპირზე დილომის ხიდის დაბლა 200 საყენის დაშორებით, ასე რომ ტურბინების შემწოვ მილებს უშუალოდ გასაველი აქვთ მდინარე მტკვარში.

მანქანათა შენობა პირველ რიგში, მისი გაფართოებამდე, იტევს 18,000 ცხ. ძალის სიმძლავრის ტურბო-გენერატორებს.

ცენტრალური სადგურის მთავარი მექანიკური მოწყობილობა შესდგება ხვეული რკინა-ბეტონის საკანებში მოთავსებული ფრენისის სისტემის 4 ტურბო-ნიდან, თითო 4,500 ცხ. ძ. უშუალოდ გენერატორთან შეერთებული შევული ღერძით.

ტურბო-გენერატორების აკრეფის საჭიროებისათვის ცენტრალურ სადგურში მოწყობილია 40 ტონიანი ანწი, ტურბინის ნორმალური სიმძლავრე 4,500 ცხ. ძ. გამოანგარიშებულია 19,8 მეტრის საშუალო მარგი დაწნევის, წანში 21,2 კუბ. მეტრი წყლის ხარჯის და ტურბინის წუთში 214 რაოდენობით ტრუალის მიღებით, ტურბინის ტრუალის რაოდენობის ავტომატიურად დონეებისათვის მოწყობილია ჰიდრავლიური რეგულიატორი, რომელიც მუშაობს ზეთით წნევის ქვეშ.

ფრენისის სისტემის ოთხ ტურბინასთან უშუალოდ შეერთებულია 4 საბიჯრა 4000 კ. ვ. ა.-რიანი გენერატორები 6400 ვოლტის ნორმალური ჰინვით და წუთში 214 რაოდენობის ტრუალით. გენერატორები აღვხნებას ღებულობენ ტურბო-გენერატორების შევული ღერძის გაგრძელებაზე დასაშული მუღმნივი დენის 40 კ. ვ. ა. 110 ვოლტიანი დინამოებისაგან.

გენერატორის დგარო დანაგრებულია პოდუენის ბეტონის მასსივში ჩაკე-ოებული თუჯის რგოლისებურ საფუძველზე. ტრია შესდგება ფოლადის ფერსოს მთლიან ჩამოსხმისაგან მარგილებით და მილსაყით და ყრუდ დამაგრებულია გენერატორის ღერძზე.

გენერატორის განიავება სწარმოებს მისი გამცივებელი რადიატორში ჰაერის შევანით.

განმრიგებელი მოწყობილობა და ამწევი ქვესადგური

ცენტრალური სადგურის გვერდით აშენებული განმრიგებელი მოწყობილობის სამ სართულიანი შენობა. ცენტრალურ სადგურში გამომეშაებული ელექტრონის დენი ტუილისში გადაცემანდე გადაყვანილია განმრიგებელი მოწყობილობის შენობაში ჰინვის ასაწევად.

გენერატორები შეერთებულია განმრიგ მოწყობილობის შენობასთან 10,000 ვოლტის ნორმალური ჰინვის ჯავშიანი ჯირგინებით. განმრიგებელი მოწყობილობის შენობაში დაყენებულია ჰინვის ამწევი მოწყობილობა, რომელიც შესდგება 4000 კ. ვ. ა. სამი ვადამსახისაგან. ვადამსახი სწევს ჰინვას 6400-დან 37,000 ვოლტამდე.

შეერთების მთელი სქემა დამუშაებულია ისე, რომ ყოველი ცალკე გენერატორი თავის ვადამსახით შეადგენს ერთ მუშა ჯგუფს და შეერთების და მომართვის მთელი მოქმედება სწარმოებს 37,000 ვოლტის მაღალი ჰინვის მხარზე.

ამ შენობაში აგრეთვე მოთავსებულია განმრიგებელი მოწყობილობის ყველა ნაწილები და აპარატები, სახელოსნო და ლაბორატორია. ელექტრონის ენერჯია, რომელიც საჭიროა თვით ზაქესის სათავო ნაშენების განათებისათვის და განა-



თხარის და რაბების ფარების ამწვე მოტორებისათვის მიცემულია ცენტრალური სადგურიდან 6000 ვოლტის ჰინვის ქვემიწის ჯირგინების საშუალებით სპეციალურ ქვესადგურზე მიყვანილ, სადაც დაყენებულია ორი გადამსახი ერთ 50 კ. ვ. ა. და მეორე 5 კ. ვ. ა.

ელ-გ ა დ ა ც ე მ ა

ცენტრალურ სადგურზე გამოწვეული და იქვე განპრაგებულ შენობაში შიდალ ჰინვანდ გადასახული ელექტრონის ენერგია გადმოცემულია ქ. ტფილისში მთავარ ქვესადგურზე ორი ხაზით; თითო ხაზი შესდგება სამი 25 ოთხკ. მილ-კვეთიან სპილენძის სადენისაგან.

ორივე ხაზი ცენტრალურ სადგურიდან გამოყვანილია ქ. ტფილისში ერთ წყება ლითონის მოქლონილ ანძების საშუალებით და დაცულია ანძების წვეროვებზე გატარებული ჩამიწებული ფოლადის ბაგირით. ხაზები დამაგრებულია ანძებზე მანქანური განმხოლოების შემწეობით. ანძები დაყენებულია ბეტონის საძირკველზე. დამკავეები ანძები დაშორებულია ერთი მეორისაგან 1 კილომეტრით, ხოლო მათ შორის დაყენებულია მიმოხანი ბრტყელი რბევადი ანძები. კუთხეებში და მდინარე მტკვარზე გადასვლის ადგილებშიც დაყენებულია ოთხკუთხი კვეთის ფშიკი ანძები კუთხიანი რკინებისაგან მოქლონილი. ცენტრალურ სადგურიდან ტფილისში მიმავალი ელგადამცემი ხაზიდან დილონის მინდორზე გადაყვანილია ავკალის წყალსადენის საჭიროებისათვის ცალი ხაზის სახით ხაზი 3.25 ოთხკ. მილიმ. კვეთის. ამავე ადგილიდან იქნება შემდეგში გაყვანილი ხაზი დილონი—წყნეთი—კოჯორისაკენ. ამ გადმოტოების ადგილზე მოწყობილია გადამრთი წერტილი.

ცენტრალურ სადგურიდან ქალაქისათვის საჭირო ენერგია ტფილისში მიყვანილია 4 ქვესადგურზე. მთავარი დამდაბლობელი ქვესადგური აგებულია ყოფილი ქალაქის ელექტრონის სადგურის გვერდით, რომელშიც დაყენებულია სამი 35,000-დან 6600 ვოლტამდე დამდაბლებელი გადამსახი თითო 2500 კ. ვ. ა.

დიდუბის და მასზე მიკრულ უბნების ელექტრონით კვებისათვის, იპპოდრომის მახლობლად აგებულია დიდუბის ქვესადგური, სადაც დაყენებულია ერთი დამდაბლებელი გადამსახი 500 კ. ვ. ა.

ავლაბარი-ნავთლულის უბნებისათვის პეტრე და პაულეს სასაფლაოსთან აგებულია ავლაბრის ქვესადგური 35000-დან 6600 ვოლტებამდე ჰინვის მამდაბლებელი ორი გადამსახით თითო 1000 კ. ვ. ა.-რანი.

ნაძალადევიში აგებულია ნაძალადევის ქვესადგური ორი გადამსახით 35000-დან 6600 ვოლტამდე თითო 500 კ. ვ. ა.

ყველა ამ ქვესადგურებიდან 6600 ვოლტის ჰინვამდე დამდაბლებელი ელექტრონის დენი მოყვანილია მთელ ქალაქში მიწაში ჩალაგებული (მიწაქვეში) ჯირგინების საშუალებით მცირე გადამსახ ბუდეებთან.

ქალაქში სულ სხვადასხვა ადგილას აგებულია 73 გადამსახი ბუდე სიმპლავრით თითო 100 და 50 კ. ვ. ა., საიდანაც 6600 ვოლტიდან 265—120

ვოლტამდე დამდაბლებული ელექტრონის ენერგია განაწილებული არის მცხოვრებთა შორის.

ზემო-აგვალის ჰიდრო-ელსადგურის აგების ღირებულება საბოლოოდ შედგენილი და ს. ს. რ. კ. შრომის და თავდაცვის საბჭოსაგან ზაქესის სამუშაოების დასათვალისწინებლად გამოგზავნილი კომისიის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღორციელებით განსაზღვრული იყო 10,675,000 მანეთით.

ამ თანხიდან 2,796,000 მანეთი მოხმარებულია ევრედწოდებულ საერთო ხარჯებზე, როგორც, მაგალითად, სამუშაოების შენახვა-წარმოება, შეტბორების უბანში წყლით დაფარული მიწების ღირებულების ანაზღაურება, ძველი მცხეთის გზატკეცილის ქვის ხიდის (რომელიც შეტბორებულ წყლით დაფარულობის გამო დანგრეულ იქნა) ნაცვლად ახალი რკინის ხიდის აგება, იქვე საქართველოს სამხედრო გზის გადატანა და სხვა. შემდეგში, როცა საქიროება შოითხოვს ცენტრალური სადგურის გაუარყოფმაზე და დამატებით 4 ტურბინის დაყენებაზე კიდევ დახარჯული იქნება 995,000 მანეთი.

პირველ რიგში ზაქესის დანიშნულებას შეადგენს ქ. ტფილისის და მასთან მდებარე უბნების ელექტრონის ენერგიით კვება.

ზაქესის სიმძლავრე, მის გაუარყოფამდე, 4 ტურბინის მუშაობის დროს, გამოკლებით დაკარგული და იქვე ზაქესის ნაშენებზე დახარჯული ენერგიისა უდრის 50 მილიონ კილოუატს საათს (კ. უ. ს.), ეს სწორედ ის რაოდენობაა, რომელიც უზრუნველყოფილია მთელი წლის განმავლობაში მდ. მტკვრის მინიმალური ხარჯის დროს. ამიტომ ძირითადი ეკონომიური ანგარიში სწარმოებდა ამ ნაყოფიერების მიხედვით, სტატისტიკური ანგარიშების თანახმად 1924 წელს ქალაქის ელექტრონის ენერგიაზე მოთხოვნილება უდრიდა 20 მილიონ კ. უ. ს. მოთხოვნილების ნორმალური ზრდისა მიღებით 1936 წელს ქალაქის მოთხოვნილება ელექტრონის ენერგიაზე გაზრდილი იქნება 50 მილიონ კილოუატ საათამდე. ამ განზრახვლობაში შედის მხოლოდ ენერგიის ხარჯის ნორმალური ზრდა და არ არის გათვალისწინებული ისეთი ფაქტები, როგორც ფართოდ გამოყენება ენერგიისა ოჯახის სხვადასხვა საქიროებისათვის (ბინის გათბობა, წყლის ადუღება, ლუმენების გახურება და სხ.), რასაც აუცილებლად ექნება ადგილი იათე ენერგიის არსებობის დროს.

ელექტრონის ენერგიის თვითღირებულება განისაზღვრება მუდმივი და საექსპლუატაციო ხარჯებიდან. პირველი დამოკიდებულია ზაქესის აგებაზე დახარჯულ თანხაზე და მეორე-კი სადგურის მიერ დამუშავებული ელექტრონის ენერგიის რაოდენობაზე. მუდმივ ხარჯებში შედის ყოველწლიურად ამორტიზაციისათვის გადარიცხვა, დახარჯული კაპიტალის (ვალის) ნაწილობრივი ანაზღაურება, სარგებლის გადახდა, გადასახადების შეტანა და სადგურის მომწოდებელი პერსონალის შენახვა. საექსპლუატაციო ხარჯებში შედის მანქანების შენახვის და შეკეთების და წვრილმან სახეთ-საწმენდ მასალების ხარჯები. ყოველწლიური მუდმივი ხარჯების ჯამი უდრის 921,700 მანეთს, ხოლო საექსპლუატაციო-კი 0,4 კაპიკს კილოუატ საათზე. აქედან კილოუატ საათის თვითღირებულება არის 2,25 კაპ. ზაქესიდან მიცემული ენერგიის ფასები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ვოლტამდე დამდაბლებული ელექტრონის ენერჯია განაწილებული არის მცხოვრებთა შორის.

ზემო-აგქალის ჰიდრო-ელსადგურის აგების ღირებულება საბოლოოდ შედგენილი და ს. ს. რ. კ. შრომის და თავდაცვის საბჭოსაგან ზაქესის სამუშაოების დასათვალისწინებლად გამოგზავნილი კომისიის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული იყო 10,675,000 მანეთით.

ამ თანხიდან 2,796,000 მანეთი მოხმარებულია ეგრედწოდებულ საერთო ხარჯებზე, როგორც, მაგალითად, სამუშაოების შენახვა-წარმოება, შეტბორების უბანში წყლით დაფარული მიწების ღირებულების ანაზღაურება, ძველი მცხეთის გზატკეცილის ქვის ხიდის (რომელიც შეტბორებულ წყლით დაფარულობის გამო დანგრეულ იქნა) ნაცვლად ახალი რკინის ხიდის აგება, იქვე საქართველოს სიმხედრო გზის გადატანა და სხვა. შემდეგში, როცა საქიროება მოითხოვს ცენტრალური სადგურის გაფართოებაზე და დამატებით 4 ტურბინის დაყენებაზე კიდევ დახარჯული იქნება 995,000 მანეთი.

პირველ რიგში ზაქესის დანიშნულებას შეადგენს ქ. ტფილისის და მასთან მდებარე უბნების ელექტრონის ენერჯიით კვება.

ზაქესის სიმძლავრე, მის გაფართოებამდე, 4 ტურბინის მუშაობის დროს, გამოკლებით დაკარგული და იქვე ზაქესის ნაშენებზე დახარჯული ენერჯიის უდრის 50 მილიონ კილოვატს საათს (ქ. უ. ს.). ეს სწორედ ის რაოდენობაა, რომელიც უზრუნველყოფილია მთელი წლის განმავლობაში მდ. მტკვრის მინიმალური ხარჯის დროს. ამიტომ ძირითადი ეკონომიური ანგარიში სწარმოებდა ამ ნაყოფიერების მიხედვით. სტატისტიკური ანგარიშების თანახმად 1924 წელს ში ქალაქის ელექტრონის ენერჯიაზე მოთხოვნილება უდრიდა 20 მილიონ ქ. უ. ს. მოთხოვნილების ნორმალური ზრდისა მიღებით 1936 წელს ქალაქის მოთხოვნილება ელექტრონის ენერჯიაზე გაზრდილი იქნება 50 მილიონ კილოვატ საათამდე. ამ განზრახვლობაში შედის მხოლოდ ენერჯიის ხარჯის ნორმალური ზრდა და არ არის გათვალისწინებული ისეთი ფაქტორები, როგორც ფართოდ გამოყენება ენერჯიისა ოჯახის სხვადასხვა საქიროებისათვის (ბინის გათბობა, წყლის აღულება, ლუმენების გახურება და სხ.), რასაც აუცილებლად ექნება ადგილი იაფი ენერჯიის არსებობის დროს.

ელექტრონის ენერჯიის თვითღირებულება განისაზღვრება მუდმივი და საექსპლუატაციო ხარჯებიდან. პირველი დამოკიდებულია ზაქესის აგებაზე დახარჯულ თანხაზე და მეორე-კი სადგურის მიერ დამუშავებული ელექტრონის ენერჯიის რაოდენობაზე. მუდმივ ხარჯებში შედის ყოველწლიურად ამორტიზაციისათვის გადარიცხვა, დახარჯული კაპიტალის (ვალის) ნაწილობრივი ანაზღაურება, სარგებლის გადახდა, გადასახადების შეტანა და სადგურის მომკვლელი პერსონალის შენახვა. საექსპლუატაციო ხარჯებში შედის მანქანების შენახვის და შეკეთების და წყრილმან სახეთ-საწმენდ მასალების ხარჯები, ყოველწლიური მუდმივი ხარჯების ჯამი უდრის 921,700 მანეთს, ხოლო საექსპლუატაციო-კი 0,4 კაპიკს კილოვატ საათზე. აქედან კილოვატ საათის თვითღირებულება არის 2,25 კაპ. ზაქესიდან მიცემული ენერჯიის ფასები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ქალაქის წყალსადენისათვის და ტრანშეისათვის კ. უ. ს. 3 კაპიკი, მოტორების საჭიროებისათვის—6 კაპიკი და ბინების განათებისათვის—12 კაპიკი ქუჩები განათებული იქნება უფასოდ.

ცენტრალური სადგურის გაფართოების და დამატებით 4 ტურბინის დაყენების შემდეგ ზაქესის სიმძლავრე გაიზრდება პერიოდული ენერჯის მოცემით. ეს განზრახულია მოხდეს 1929 წლის დასაწყისში.

ზაქესის სრული სიმძლავრით გამოყენების დროს მიღებულ იქნება სამი სახის ენერჯია. 1—მუდმივი, 2—პერიოდული, უზრუნველყოფილი წელიწადში 11 თვით და 3—პერიოდული, უზრუნველყოფილი წელიწადში 6—9 თვით. პერიოდული ენერჯია შეიძლება მიცემული იქნეს შემდეგი რაოდენობით: უზრუნველყოფილი 11 თვით—20 მილიონი კ. უ. ს. და უზრუნველყოფილი 6-9 თვით 55 მილიონი კ. უ. ს. ამ ენერჯის თვითღირებულება არის 1 კაპიკზე ნაკლები.

იაფუასიანი ენერჯის არსებობამ წარმოშვა მრავალი პერსპექტივები.

კოჯრის ტრანშეის გაყვანის ზაქესის იაფ-ფასიანი ენერჯია გაადვილებს.

სურამის ულელტეხილის ელექტროფაქციაც დაუკავშირდება ზაქესს.

დიღომის მინდორი, ყარაიაზის ველი და სხვები იაფი ენერჯის წყალობით შეიძლება სავსებით იქნენ გამოყენებული სხვადასხვა კულტურულ მიზნებისათვის.

 გზავნილი კანდიდატებით, ე. ი. ტფილისის მაზრას დაეთმო 110 ადგილი,
 ხოლო ამ 110-დან სკოლაში მიღებულ იქნა 85 მსმენელი. დუშეთის მაზრას
 დაეთმო 20 ადგილი, ახალქალაქს—8 ადგილი, მორჩალოს—8, ახალციხეს—6. ამ
 რიგათ ტფილისის 1-ლ საფეხურის პარტსკოლების კურსანტთა რაოდენობა უდ-
 რის 125, ქუთაისის პარტსკოლაც ამ წესით იქნა შეესებულები: თვითონ ქალაქ ქუ-
 თაისიდან 51 ადგილი, შორაპნიდან—30, რაჭიდან—20, ლეჩხუმიდან—11, და
 სუანეთიდან 15. სულ შეგროვილ იქნა 126. ფოთის 1-ლი საფეხ. პარტსკოლა (70
 კურს.); ფოთის 30 ადგილი, სენაკს 25 და ზუგდიდს 15. სიღნაღის 1-ლი საფეხ-
 პარტსკოლა 52 კურსანტი: აქედან სიღნაღის 37 ადგილი, თელავის მაზრას 15,
 ამ რიგათ—სკოლების კურსანტების შეგროვების სქემა ნათელჰყოფს კურსანტთა
 შედგენილობის სურათს, მას საფუძვლად დაედო ადგილობრივ პარტორგანიზა-
 ციების აღრიცხვა და ადგილობრივ მომუშავეთა საქაროების პრინციპი. მეორეს
 მხრივ კურსანტთა შედგენილობის განიხილის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ სა-
 ანგარიშო დროს განმავლობაში პარტსკოლების განყოფილების მიერ დამუშავე-
 ბულ იქნა სტატისტიკური ცნობები, რომელიც ყოველ მხრივ აბასიათებს პარტ-
 სკოლათა კურსანტების შედგენილობას.

24/25 სასწავლო წლ. განმავლობაში მუშების რაოდენობა სკოლაში გაიზარდა.

1923/24 სასწავლო წელს იყო 10,8%,, ხოლო 24/25-კი დაახლოებით
 40%,-მდე.

ჩვენს პარტსკოლებში კურსანტების შემადგენლობა პარტიულობის მიხედ-
 ვით, როგორც წარსულ წელს, ისე მიმდინარე წელშიაც არ არის დამაკმაყოფი-

ლებელი. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ პარტიულ ანბანაგებსარ აქვთ საშუალება სკოლაში შესვლის. მათი უმრავლესობა ცოდნევილიანია და სკოლაში შესვლისას მათ ოჯახურ მოთხოვნილებას ჩვენ ვაკმაყოფილებთ, საამისო თანხების უქონლობის გამო. მაგრამ წინა წელთან შედარებით აქაც საქმის გაუმჯობესება ჩანს.

რაც შეეხება პარტსკოლებში სასწავლო საქმის დაყენებას, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ სკოლის ლექტორთა შემადგენლობაზე; ჩვენ მოგვიხდება უპარტიო მასწავლებლების განოყენება, თუმცა ყველა ძირითად საგნებს, როგორცაა პოლიტ. ეკონომია, რ. კ. პ. ისტორია და სხვა ასწავლიან შესაფერად მომზადებული პარტიულები, მხოლოდ დანარჩენ საგნებს, როგორცაა, მაგალითად, საზოგადოებათმეცნიერება, ბუნებისმეტყველება და სხვა ასწავლის უპარტიო მასწავლებლობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საქმეს ეტყობა ერთგვარი გამოსწორება. პარტიულ მასწავლებელთა პროცენტის გადიდება და მაღალ კვალიფიკაციის მასწავლებელთა მოწვევა.

სასწავლო გეგმა და პროგრამა, რომელიც იქნა შეშუშავებული 1924—25 სასწავლო წლისათვის პოლიტგანათლების მთავარმართველობის მიერ და რომელიც დამტკიცებულ იქნა ს. კ. პ. ავტპრომის მიერ განაწილებულია შემდეგი წესით: პირველი საფეხურის პარტსკოლის პირველი სემესტრისათვის. 1) ქართული ენა 90 საათი, 2) მათემატიკა 90 საათი, 3) ეკონომიური გეოგრაფია 90 საათი, 4) საზოგადოებათმეცნიერება 70 საათი, 5) რ. კ. პ.-სა და კომინტერნის ლენინიზმის საფუძველზე ისტორია 40 საათი, 6) პოლიტ-ეკონომია 40 საათი, სულ 420 საათი.

II—საფეხურის მეორე სემესტრი—საზოგადო ისტორია 90 საათი, ს. ს. რ. ისტორია 50 საათი, საზოგადოებათმეცნიერება (გეგმელება) 50 საათი, რ. კ. პ.-სა და კომინტერნის ლენინიზმის საფუძველზე ისტორია 140 საათი. პოლიტ. ეკონომია (გეგმელება) 50 საათი. ეკონომიური პოლიტიკა 50 საათი, სულ მეორე სემესტრში 420 საათი, სულ საათის რაოდენობა 24—25 სასწავლო წლის განმავლობაში 840-ია. როგორც პარტსკოლებიდან წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, გეგმადან მათ არ გადაუხვევიათ. დაკმაყოფილდნენ როგორც საათების საერთო რაოდენობით, ისე მის განაწილებით საჯანთა შორის. მხოლოდ რამდენიმე საბ. პარტსკოლა გვატყობინებს, რომ ზოგიერთი მცირე ცვლილება შეტანილია პოლიტიკურ ეკონომიის და საზოგადოებათმეცნიერების სწავლებაში.

სკოლის გარეშე განათლების განყოფილება, საკლუბო, საბიბლიოთეკო-სააგიტაციო და საგამომცემლო ქვე-განყოფილებები

სკოლის გარეშე განათლების განყოფილებას ექვემდებარება ბიბლიოთეკები, ქიზ-სამკითხველოები, კლუბები, სახალხო სახლები და საპროპაგანდო-სააგიტაციო ლიტერატურის გამომცემლობა. ამ რიცხვიდან მხოლოდ ბიბლიოთეკათა განსახდერული რაოდენობა თითოეულ მაზრაში აღებული იყო პოლიტ-განათლე-

ბის მთავარმართველობის ხარჯებზე (მთელ რესპუბლიკაში მხოლოდ 44 ბიბლიოთეკა) და დანარჩენი ბიბლიოთეკები და ყველა ხემათაღნიშნული დაწესებულება გადატანილ იქნენ ადგილობრივ ხარჯებზე 2 აპრილის დეკრეტის თანახმად, ხოლო მათი უშუალო იდეური ხელშეწყობა მთავარმართველობას დაეკისრა.

ყველა ეს დაწესებულება, განსაკუთრებით ქობ-სამკითხველოები ამყოფებოდნენ უნუფეშო მდგომარეობაში, მათ არ ვაჩნდათ მასისათვის მისაღები და საჭირო თანამედროვე ლიტერატურა, არ იყვნენ სათანადოთ უზრუნველყოფილი ეურნალ-გაზეთებით. საჭირო იყო ყველა იმ დეფექტის გამოსწორება, რომელიც აფერხებდა მათ მუშაობას. ამ მიზნით მთავარმართველობამ შეადგინა პოპულიარულ ბროშურათა კომპლექტები, რომელიც ხელმისაწვდომ ფასებში და გრძელვადიან კრედიტით დაუთმო მაზრებს. სულ დაშადებული იქნა 1000 კომპლექტი, რომელთაგან უკვე შეძენილია მაზრების მიერ 400. ჯერჯერობით კომპლექტების დაშადება მოესწრო მხოლოდ ქართულ ენაზე და დანარჩენ ენებზეც მზადდება. ოთხი თვით მთავარმართველობამ გამოუწერა ყველა მაზრას გაზეთი „მიწის მუშა“.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლი

იმ მიზნით, რომ სკენი მაზრებისათვის თვალსაზრისით დაგეგნაზებინა თუ როგორ ნიადაგზე მოწყობილი უნდა იყოს ყველა სამკითხველო და წიგნთსაცავი და ამავე დროს, რომ ჩამოგვეყალიბებინა ერთგვარი სანიშნო მუშაობის მეთოდი, გვაქვს სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლი.

გასული წლის განმავლობაში სახლის მუშაობა გამოიხატა მის შემადგენელ შემდეგ დაწესებულებათა მოქმედებაში: 1) სასკოლო კაბინეტისა და სექციის, 2) საბიბლიოთეკო კაბინეტისა და სექციის, 3) საბიბლიოთეკო კურსების, 4) ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს.

სასკოლო კაბინეტისა და სექციის მუშაობა განახლდა წინაწლის დამლევს და გაგრძელდა საანგარიშო წლის ზაფხულამდე. კაბინეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი პედაგოგები და პოლიტ-განმანათლებელ და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. კაბინეტის მუშაობას ჰქონდა მეთოდური და პრაქტიკული ხასიათი. პოლიტგანათლების მთავარმართველობის წინადადებით მის მიერ გადასინჯულ იქნა მოზრდილთა ყველა ტიპის სკოლების პროგრამები. კაბინეტი ხელშეწყობდა უწყვეტ აგრეთვე სასკოლო სექციას, რომელიც იკრიბებოდა ორ კვარაში ერთხელ. სექციაში წაკითხულ იქნა პედაგოგიური და მეცნიერული შინაარსის ბოხსენებები.

II. საბიბლიოთეკო კაბინეტი და სექცია წარმოადგენს ორგანოს სამეცნიერო მეთოდოლოგიურს და პრაქტიკულ-ორგანიზაციულს. კაბინეტი მოეწყო 1923 წლის 17 დეკემბერს. მის მიზანს შეადგენს რესპუბლიკის საბიბლიოთეკო საქმის საერთო მოწყობება, საბიბლიოთეკო ტექნიკის ახალი მეთოდების შემუშავება და ცხოვრებაში გატარება.

საორგანიზაციო და მეთოდური ხასიათის კითხვების გარდაშის მიერ გადაწყვეტილ იქნა ტფილისის ყველა ბიბლიოთეკის შეერთებული კატალოგის შედგენა. პირველად გადაწყდა ქართული წიგნების შეერთებული კატალოგის შედგენა, შემდეგ სომხურის, რუსულის, თათრულის და სხვა ენებზე. პოლიტიკანათლების მთავარ-მართველობის ფინანსიურ დახმარებით აღნიშნული ქართული წიგნებზე შეერთებული კატალოგი უკვე დასრულდა და ნაწილ-ნაწილ იბეჭდება. სულ ქართული წიგნების რაოდენობა ტფილისის ყველა ბიბლიოთეკაში გამოიხატა 30.000 ზეზემლიარით და 7066 წიგნით. საბიბლიოთეკო კაბინეტის ამ ფრიად მნიშვნელოვან ნაშრომით შეიქმნა ის დიდი ნაკლი, რომელიც წარმოსდგებოდა ქართულ ენაზე ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლის უქონლობით.

კაბინეტის მიერ იყო შედგენილი საბიბლიოთეკო კურსების პროგრამის რამდენიმე ვარიანტი, რომლის მიხედვითაც საანგარიშო წლის შემოდგომაზე ჩატარდა მეტად სერიოზული საბიბლიოთეკო კურსები.

საბიბლიოთეკო კურსები დაიწყო ოქტომბრის 5-ს და გავრძელდა დეკემბრის დამლევამდე. მსმენელთა და ლექტორთა შემადგენლობა იყო მეტად სერიოზული და 80 მსმენელისაგან კურსებზე მოგვეცეს თეორიულად კარგად მომზადებული და პრაქტიკულად გაწრთვნილი 60 საბიბლიოთეკო მუშაკი. კურსები იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ პოლიტიკანათლების მთავარმართველობის მიერ აღიარებულ იქნა საჭიროდ ასეთივე კურსების გამართვა პროვინციათათვის.

ბიბლიოთეკა სამკითხველო

ს. გ. გ. მუშაკის სახლის ბიბლიოთეკა სამართლიანად ითვლება ერთ საუკეთესოთაგანად, როგორც წიგნების სიმრავლით, ასივე და უფრო მეტად იმ ძვირფასი და იშვიათი ეკზემპლარებით, რომლითაც ბიბლიოთეკა ესოდენ მდიდარია, მეტადრე საენათმეცნიერო — ეთნოგრაფიულ დარგებში. 1923 წელს ბიბლიოთეკა შეუერთდა სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლს, რომელმაც თავის შრივ ბიბლიოთეკას გადმოსცა განათლების კომისარიატის „ორტისტულ საზოგადოების“ და „ტფილისის წრის“ ბიბლიოთეკები. ამ გარემოებამ ბიბლიოთეკის ხელში დააგროვა აუარებელი დაუმუშავებელი წიგნები.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ბიბლიოთეკის განახლება ახალი და თანამედროვე ლიტერატურის შეძენით, უმთავრესად ქართულ დარგში, და რაც უფრო დიდ სიძნელეს წარმოადგენს მთელი ბიბლიოთეკის, ე. ი. 40. 000 წიგნის ხელახლა დამუშავება დეციმალური სისტემის მიხედვით, ისე რომ ბიბლიოთეკის ფუნქცია არ შეწყვეტილიყო. ამოცანა მით ძნელი იყო, ვინაიდან ბიბლიოთეკას არ გააჩნდა საკმარისად არც მუშახელი და არც საჭირო თანხა. როგორც იყო ბიბლიოთეკის გადამუშავების უმთავრესი ნაწილი წლის განმავლობაში დაძლეული იქნა მთავარი დარგების დამუშავებით, ისე რომ წიგნებზე გაცემა ამ საქმეზე მუშაობის დროს არ შეწყვეტილი; დაიკეტა ორი თვით მხოლოდ სამკითხველო.

ათი თვის განმავლობაში სამკითხველოში გაცემულია 12.637 წიგნი, აქედან ბელეტრისტიკა 2.040, რაც შეადგენს მხოლოდ 16% გაცემულ წიგნებისას,



დანარჩენი სამეცნიერო შინაარსისაა, რაც ბუნებრივია, რადგან სამკითხველოში დაგროვილია უმთავრესად სამეცნიერო წიგნები. ამგვარად საშუალო თვიური გაცემა უდრის 1265 წიგნს. მაქსიმალური გაცემა ისევ აბრილზე მოდის, როდესაც გაცემულია 1877 წიგნი; დღიური გაცემა გამოიზატება 52 წიგნით, ხოლო მაქსიმალური 72-თ.

რაც შეეხება ბიბლიოთეკის ამონენტს, აქ სურათი შემდეგია: წლეს 263 დღის განმავლობაში აბონენტი ყავდა 1312 პირი, რომელთაც წაიღეს 15218 წიგნი, ბელეტრისტიკა 10.906 ანუ 71.25 %⁰. მოვლენა ბუნებრივია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ პირველი განყოფილება, რომელიც დაიშვა ახალი წესით იყო სწორედ ბელეტრისტიკა: მხოლოდ წლის დანაღვეს შესძლო ბიბლიოთეკამ შეიწოდებია მკითხველთათვის მესამე განყოფილების ნაწილი (სოციალური მეცნიერებანი), მაგრამ ეს განყოფილება ჯერ ერთი სულ არ არის დაშუშავებული და შემდეგ მისი შედგენილობა მეტად მოძველებულია, საშაგეროდ ბელეტრისტიკა შეესებულა ახალი ლიტერატურით, რამაც მისი მოთხოვნა მეტად გააძვირა.

1923 წლის პირველ იანვრისთვის ბიბლიოთეკას ყავდა 383 აბონენტი, რომელთა სოციალური მდგომარეობა შემდეგია: მუშა-50, ჯარისკაცი-20, ინტელიგენტი-119 და მოსწავლე 364. ბიბლიოთეკა დაშორებულია საფაბრიკო და საქონლო ადგილებს და როგორც ცენტრალური მდებარეობის მეტონე, უმთავრესად იზიდავს საბჭოთა მოსამსახურეებს, სტუდენტებს და მუშავაკლებს. აბონენტთა განათლების ცენზი: დაბალის - 100, საშუალო - 363, მაღალის - 130, აბონენტთა განათლება - 325, ქალი - 238; პარტიულ - 100, უპარტიო - 483, უმჯავლია ახალ-ახალი განყოფილების დაიშუშებისა და ახალი წიგნების შედგენისათნავე აბონენტთა რიცხვი იმატებს.

ბიბლიოთეკის საწიგნო ფონდი განაწილებულია ორგვარად: ძვირფასი და იშვიათი წიგნები მოთავსებულია სამკითხველოში (7.000), აქედან სახლში წასაღებად არავის არ გძლევა.

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

მთავარმართველობამ თავის განსახდერულ თანხებით მოახერხა 1923/24 წლის განმავლობაში გამოცემა სასკოლო და სკოლის გარეშე დარგისათვის შემდეგი წიგნების (გამომცემლობაზე სულ დახარჯულია აღნიშნულ დროის განმავლობაში 10.845 მანეთი და 9 კაბ.)

1. „აღთქმულ ქვეყნისკენ“ და „მირატი“
2. სინაილისაკენ“ დ. რუხაძე, მეტრეველი, ჩიქობავა და ქუმბურიძე
3. „თანამგზავრი“ № 1, 2, 3, 4.
4. „რევოლიუციის დეკლამატორი“ ს. ქვიციანი რედაქტორობით
5. „ლენინი“ ნეცკის.
6. „ლენინი“ ბოდოროვსკის
7. „ლენინის შესწავლისათვის“ კრებული

8. „ქობ-სამკითხველოსათვის“ კატალოგები
9. „ანბანის წიგნი სინათლისაკენ“ გამოცემა მეორე
10. „კომინტერნის შესახებ“ კრებული
11. „წესდება წერკუშისათვის“
12. „კულტურული მუშაობა სოფლად“
13. „გამოსცადეთ თავისი თავი“ ვობერმანის
14. „ვარსკვლავი“ ხეჩუაშვილისა
15. „ძირს წ. კ. უცოდინარობა-პლაკატი
16. „ლენინი მასაში“
17. „გასაბჭოების წლის თავზე
18. ახალ, საერთაშორისო დღისათვის
19. ძირს ლოთობა
20. ბელადების სურათები
21. პირველყოფილ კომუნისმიდან თანამედროვე კომუნისამდე. პლაკატები.

ყველა ამ გამოცემათა განსახდერული რაოდენობა უფასოდ ეგზავნება მაზრებს სახელმძღვანელოთ. ვასულ სასწავლო წლის განმავლობაში (1923|24 წ) გადაეგზავნა მაზრებს: „თანამგზავრი“ № 1—510 ც. „თანამგზავრი“ № 2 130 ცალი, „თანამგზავრი“ № 3—470 „ლენინი“ ნეგსკის—280 „ლენინი“ ხოდოროვსკის—280 ც. ბელადების სურათები—213 ც. სხვადასხვა პლაკატები 110 ც.

ფინანსიური ღონისძიებანი

ჩვენ მიერ გათვალისწინებულ გეგმით მუშაობის წარმატებით ჩატარებისთვის მთავარმართველობის მიერ 22/24 სასწავლო წლისათვის წარდგენილ იქნა ხარჯთ-აღრიცხვა დასამტკიცებლად 482.566 მანეთი, მაგრამ აღნიშნულ თანხიდან დაგვიმტკიცეს მხოლოდ 74.269 მან.

იმ მიზნით, რომ მთავარმართველობას გამოენახა სხვა კერძო წყაროებიც, დაარსებული იქმნა წ. კ. უ. მებრძოლი საზოგადოება „წერკუშის“.

1921 წელს 28 მარტს შესდგა „წერკუშის“ დამაარსებელი კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა ცენტრალური საორგანიზაციო დროებითი გამგეობა მომავალ მუშაობის ჩასატარებლად. დროებითი გამგეობა შეუდგა მუშაობას 1924 წლის 1 ივნისიდან. დამზადებულ იქნა სულ 7.000 წესდება (5.000 ქართულ ენაზე 2000 რუსულზე) 10.000 საწევრო ბარათი ქართულ-რუსულ ენაზე, 3000 საჭვითარო წიგნაკი და 7.200 ლოსუნგი. ეს მასალა განაწილებული დაგზავნილ იქნა საჭიროებისამებრ ყველა მაზრებში, ასეთივე მასალა დაგზავნილ იქნა ავტონომიურ რესპუბლიკებში, ამის შემდეგ სულ მოკლე ხანში გამოშვებულ იქნა ერთი დღიური გაზეთი, სინათლისაკენ 10.000 ც., რომელშიც მოთავსებული იყო საჭირო თეზისები, ინსტრუქციები და მოწოდება სოფლის მასწავლებელთა მიმართ. გამოყოფილ იქნა განსაკუთრებული კანცელარია „წერკუშისათვის“ და დაუკავშირდა პარტორგანიზაციებს, პროფკავშირს, ახკომკავშირს, მოსკოვის „ძირს წ. კ. უცოდინარობა“-ს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ყველა მაზრაში გარ-

და ახალქალაქის, ბორჩალოსი და ახალციხისა, არსებობს „წერკუმის“ დროე-
 შითი გამგეობა და ჩატარებულია აგიტკამპანიაც.

იველა მანრებს და ორგანიზაციებს დაეგზავნა „წერკუმის“ გამოცემული
 პლაკატები „ოქტომბრ. რევ. 10 წ. თავზე“—5000 ც. და „ლენინი მასაში“ 5000
 ც. პოლიტგან. შთ. სამართველომ, „წერკუმის“ ფონდის გასაძლიერებლად გადა-
 სდო 2000 პლაკატი, „პირველყოფილი კომუნისში“. მთავლიტის მიერ გადმოცე-
 მულ იქნა საკონტროლო ზედმეტი წიგნები ფონდის გაძლიერების მიზნით, გა-
 მოვიდა სახელმძღვანელო ქართულ ენაზე „მუშათა კლასის ისტორია“ ტრუმენე-
 ვისა და გამოევა „რა უნდა იცოდე შენ“, მცირედმცოდნეთა სკოლებში სახელმძ-
 ღვანელოთ.

ტფილისის კომუნალური ტრამვაი

ტფილისში ტრამვაი დაარსდა 1904 წ. მიწურულში. მაშინ ბელგიის უსახელო საზოგადოება ამუშავებდა საშუალოდ წელიწადში ყოველ დღეს:

1904—9 წ.	65	ძრავიან	და	28	მისაბმულ	რონოდან
1910	75	"	"	25	"	"
1911	100	"	"	20	"	"
1912	120	"	"	20	"	"
1913	110	"	"	15	"	"
1914	100	"	"	10	"	"
1915	90	"	"	—	"	"

აღნიშნულ ციფრებიდან სჩანს თუ როგორ იზრდება — ვითარდება და შემდეგში კი როგორ ეცემა ტრამვაის ნობრავი შემადგენლობა.

1915 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ბელგიის უსახელო საზოგადოებამ ქალაქის თვითმმართველობას მიჰყიდა მიწელი ტრამვაი. ქალაქი უშვებდა საშუალოდ წელიწადში ხაზზე სამუშაოდ:

თ ვ ე ბ ი	1916 წ.		1917 წ.		1918 წ.		1919 წ.		1920 წ.	
	ძრავ.	მისაბ.	ძრავ.	მისაბ.	ძრავ.	მისაბ.	ძრავ.	მისაბ.	ძრავ.	მისაბ.
იანვარი	93	9	84	28	62	22	42	20	44	23
თებერვალი	95	19	91	28	65	21	41	20	41	23
მარტი	96	24	80	25	61	20	41	21	37	22
აპრილი	98	27	81	22	61	23	42	23	44	22
მაისი	97	28	82	24	54	24	36	21	51	24
ივნისი	93	26	78	27	51	23	36	20	48	24
ივლისი	85	28	76	26	52	23	37	22	49	25
აგვისტო	82	26	76	25	51	22	39	22	43	24
სექტემბერი	83	25	76	27	52	21	45	23	36	22
ოქტომბერი	84	27	73	28	49	21	43	23	34	20
ნოემბერი	84	28	72	20	38	16	45	24	37	18
დეკემბერი	81	27	69	27	33	15	46	23	30	17

აქაც თვით ციფრებიც ამტკიცებენ იმას, თუ როგორ ქვეითდებოდა-ეცემოდა და ნადგურდებოდა ტრამვაის მშობრავი შემადგენლობა და საქმე იქამდე

მივიდა, რომ 1921 წ. იანვარ-თებერვალში მთლად გაჩერდა ტრამვის მოძრაობა და ხაზზე სამუშაოდ გამოსასვები რონოდების რიცხვი 8 ძრავიანი და 6 მისამბელი რონოდისაგან შემდგებოდა.

საქ. ვასაძკოების შემდეგ საბოლოოთ მუშაობდა ყოველ თვიურად:

თ ვ ე ვ ბ ი	1921 წ.		1922 წ.		1923 წ.		1924 წ.		1925 წ.	
	ძრავ. რონ.	მისამბ. რონ.	ძრავ. რონ.	მისამბ. რონ.	ძრავ. რონ.	მისამბ. რონ.	ძრავ. რონ.	მისამბ. რონ.	ძრავ. რონ.	მისამბ. რონ.
იანვარი	8	6	26	—	29	12	33	14	65	22
თებერვალი	—	—	24	—	31	12	34	14	56	24
მარტი	26	5	25	—	31	12	34	14	70	24
აპრილი	25	5	30	—	32	12	35	15	75	25
მაისი	20	16	28	4	32	13	36	16	77	26
ივნისი	17	9	27	6	32	11	46	20	79	28
ივლისი	13	5	27	5	33	12	50	20	—	—
აგვისტო	—	—	27	10	34	13	50	20	—	—
სექტემბერი	25	—	26	9	34	14	52	21	—	—
ოქტომბერი	24	1	26	10	33	14	57	21	—	—
ნოემბერი	25	—	29	11	32	14	62	21	—	—
დეკემბერი	27	—	28	12	33	14	64	22	—	—

გარდა რონოდების რიცხვის საკრძნობლად გადიდებისა, მიმდინარე საანგარიშო წლის 11 თვის განმავლობაში საკრძნობლად შეკეთდა, ნაწილობრივ გაფართოვდა და აშენდა სახელოსნოს დაწესებულების შენობები; დაკვეთილია 20 ახალი რონოდა; შეძენილია 100,000 ფუთი რონები ძველი ლიანდაგის გასაახლებლად; შეძენილია 100 ცალი ირტახები რონოდების თვლებისათვის; შეძენილია 200 ცალი დრიკები; 1800 ფუთი მიწის ქვეშა ჯირვინები, 8000 ფუთი მაღალი ხაიხისის სპილენძის მართული საპაერო ქსელისათვის, შეძენილია პირველი ხაიხისის მავარი და რბილი ხის მასალა, 18 რონოდა, შეძენილია ელსადგურისათვის მაგუბარის საესებით გასაახლებლად-გამოსაცვლელად ფირფიტები, ტყვიის ყუთები, ქანგ-ნაიფი და ზემო-აკვალის ელსადგურის ელდენზე ვადისაყვანი ნაპქანები; შეძენილია რონოდების პირ-პირების შესადღებელი განსაკუთრებული ქიმიურად მომზადებული მასალები; ძირითადად შეკეთებულია ელსადგურის სამივე ორთქლის მანქანა, ექვსი ქვაბი თავისი მიღებით; გაფართოვებულია ტრამვის სახელოსნოს წინ-მდებარე ქუჩა: გაფარტყლეთ სადგურის ქუჩა პლენანოვის პროსპექტამდე, ახალი ქუჩა „პასაჯროსკა“. გაფარტყლეთ ტრამვის ლიანდაგი ნაძალადევი და დიდუბეში: გაფაშენეთ სათადარიგო ლიანდაგები სახელოსნოს ირგვლივ; მოეშალეთ ხედნეტი ასაქცევ-ჯვარედინები, აღედგინეთ მოძრაობა-მიმოსვლა რონოდებისა ქალაქის განაპირა ქუჩებში; გადავაკეთეთ 16 ცალი მისამბელი რონოდა, 22 ცალი ძრავიანი რონოდა, 2 ცალი წყლის მოსარწყავი ძრავიანი რონოდებზე, ქვიშის, ქვის და ჯვარედინების საზიდავი რონოდებზე 1 ცალი; ავაშენეთ და მოეაწყეთ 6 ცალი სასაკლავოდან ხორცის

მზიდავი რონოდა, გავაშენეთ ფუნქციონირების ქვემო და ზემოთ სადგურებზე ბალები. საჯდომების დადგმით და განათების მოწყობით; შევუდგეთ ელემენტარული განათების მოწყობას ყველა იმ ქუჩებზე, სადაც დაგებულია ტრამვაის ლინდავები; შევიძინეთ სახელოსნოსათვის სხვადასხვა სამუშაო იარაღები, როგორც სტამბოლა რესპუბლიკების ქარხნებში ისე სახლგარ-გარეთაც დამზადებული და სწავა და სხვა; ერთის სიტყვით მიმდინარე ხანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული მუშაობის გეგმა თითქმის უკლებლივ შესრულებულია წინასწარ ვადაზე ადრე და რადგან ჯერ კიდევ სამი თვე გვაქვს, ამიტომ სახგარე-ში წლის ბოლომდე დაწყებულ სამუშაოთა დამთავრებისათვის აღვძარიან საკითხი დამატებით ხარჯთ-აღრიცხვის დასამტკიცებლად 570,000 მან. რაოდენობისა. ტრამვაის შემოსავალ-გასავალი 1924 წ. 1 ოქტ 1925 წ. 30 ივნისამდე უდრის:

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

№ № რიგ.	შემოსავლის დასახელება	დასიგნულია	ნამდვილ. შემოვ.
1	რონოდებზე გადიდულ ბილეთებიდან	1,198,800 მან.	1,582,704 მან.
2	ხორციის გადმოხიდვიდან	54,000 "	30,804 "
3	წლიურ და საბოლოო წიგნაკეთიდან	30,000 "	31,555 "
4	გადადიდულ ვადაშიდან	4,000 "	32,940 "
5	სხვადასხვა წებოლომედი	5,040 "	6,311 "
	სულ ოვეში	1,291,840 მან.	1,684,315 მან.

ე. ი. შემოს. აღმატება დასიგნულს 392,475 მან.

გ ა ს ა ვ ა ლ ი

№ № რიგ.	ხარჯების დასახელება	დასიგნული იყო	ნამდვილად დაი- ხარჯა
1	მუშა-შოსამსახურეთა შენახვა	355,723 მან	453,498 მან.
2	" " კულტურულ- ლი ფონდი და ადგილობრების შენახვა	66,092 "	73,316 "
3	სამუშაო ტანისამოსების შეძენა	14,496 "	61,559 "
4	დათხოვნილობათვის სალიკვიდა- ციოდ	18,133 "	2,894 "
	სულ 9 თვეში	454,444 მან.	591,267 "
	ესე იგი გასავ. დასიგნულზე მეტია	136,823 მან.	

	ხარჯების დასახელება	დასიგნული იყო	ნამდვილად დაიხარჯა
5	საწვავ-საცხები მასალების შეტენაზე	123.081	160.432 „
6	რონოდების შეკეთება-აღდგენაზე	85.750	126.336 „
7	სხვადასხვა მასალების შეტენაზე	584.020	688.786 „
8	ინვენტარის შეტენაზე	99.750	76.600 „
	სულ 9 თვეში	1.347.045	1.645.481 „

ესე იგი დასიგნულ ჯამს აღემატება ხარჯი 298.436 მანეთით.

ხარჯთ-აღრიცხვით ვათვალისწინებულ-დასიგნული რაოდენობა აღარ დაეცია თავის ჩარჩოებში იმიტომ, რომ მოძრაობაში უნდა ყოფილიყო საანგარიშო წლის განმავლობაში 45 ძრავიანი და 15 მისაბმელი რონოდა, რომელთაც უნდა შემოეტანათ საშუალოდ დღეში 1.400 მან., მაგრამ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ რონოდების რიცხვი, როგორც ძრავიანისა ისე მისაბმელებისა თითქმის გაორკეცდა და ყველა მოძრაობაში მყოფ რონოდებს საშუალოდ შემოაქვთ დღეში 6.500 მანეთი, ე. ი. 2.100 მანეთი მეტი, გასავლის სიდიდევ აიხსნება იმიტომ, რომ ნაეარაუდვე იყო 990 მუშა-მოსამსახურე, მაგრამ რონოდების რიცხვის დღითი-დღე გამრავლებამ და აღნიშნულ ჩამოთვლილ სამუშაოთა შესრულების საჭიროებამ იძულებული გაგვხადა გავკვიდებოდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი:

1924 წ.	ოქტ.	ნოვ.	დეკემ.	იანვ.	თებ.	მარ.	აპრ.	მაისი	ივნ.
1924 წ.	980	1064	1131	1161	1161	1191	1214	1292	1381

მუშა-მოსამსახურეებმა ავადმყოფობის გამო ვააციდინეს 12,107 დღე. ავადმყოფობაში მყოფი მუშა-მოსამსახურე დებულობს სრულ ჯამაგირს და განაკვეთებს დაშლვევ საღაროდან.

9 თვის განმავლობაში ტრამვაის რონოდებით გადაყვანილია 26.699.326 მგზავრი, ამ რიცხვში შედიან აგრეთვე ტფილისის და მისი მაზრის საბჭოს 648 წვერი, მუშათა და გლეხთა შილაკის 800 თანამშრომელი და ტრამვაის მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები რიცხვით 4893. ყველა ჩამოთვლილი რონოდებზე განუსაზღვრულ მიმოსვლას უფლებებით სარგებლობენ უფასოდ.

9 თვის განმავლობაში ტრამვაის ელექტრონის სადგურმა გამოიმუშავა 2.754, 067 კილ. საათი. აქედან 48.972 კილ. საათი დაიხარჯა ქალაქის ქუ-

ნების განათებაზე. გარდა ამისა ტრამვაი კორწყლავს ნაწილს იმ ქუჩებისას, რომელზედაც მიმოდის რონოდები, რაიც უდრის 24,358 ოთხკუთხ საეენს.

ოქტომბერ, ნოემბერ და დეკემბერში თითო თანამშრომელზე მოდიოდა 7926 მგზ. იანვარ, თებერვალ და მარტში " " " 7990 " აპრილს, მაის და ივნისში " " " 8020 "

საშუალოდ ერთი მუშა-მოსამსახურის შენახვაზე იხარჯებოდა:

ოქტომბერ, ნოემბერ, დეკემბერში	56 მან.	41 კაპ.
იანვარ, თებერვალ, მარტში	54 " "	74 " "
აპრილ, მაის, ივნისში	56 " "	41 " "

საშუალოდ შემოსავალი მოდიოდა თითო მუშა-მოსამსახურეზე:

ოქტომბერ, ნოემბერ, დეკემბერში	157 " "
იანვარ, თებერვალ, მარტში	158 " "
აპრილ, მაის, ივნისში	161 " "

ფუნქციონირი შედის აგრეთვე ტრამვაის საქმიანობაში. მოძრაობა იქ მხოლოდ ხაფხულობითია—4 თვის განმავლობაში და მუშაობს მხოლოდ ორი რონოდა, ფუნქციონირის შემოსავალი 9 თვეში უდრის . . . 8.940 მან. 51 კაპ.

განსავალი " " " 9-548 " 26 "

აყვანილ ჩამოყვანილ მგზავრთა რიცხვი იყო 9 თვეში 58,370 მგზავრი.

ტრამვაის ყველა მუშა მოსამსახურეს ეძლევა ფუნქციონირზე უსასყიდლოთ თითოს 10 ბილეთი წელიწადში. ფუნქციონირზე მუდმივად მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი განსაზღვრულია: 6 თანამშრომლით, ზაფხულობით კი 24 თანამშრომლით, რომლებიც ზაფხულ-შემოდგომის დამლევს გადადიან უკან თავ-თავიანთ ადგილებზე. ფუნქციონირზე იგზავნებიან მორიგეობით ის მუშა-მოსამსახურეები ტრამვაის ამა თუ იმ დარგიდან, რომლებიც სუსტდებიან ხანგძლივი მუშაობითან ავადმყოფობით, რათა ფუნქციონირის საღ ჰაერზე მუშაობასთან ერთად შეისვენონ კიდევაც.

ტრამვაი თავის საქმიანობა-შემოსავლით ხეოს უწყობს აგრეთვე კომუნალურ განყოფილებას და დანარჩენ კომუნალურ წარმოებებსაც, რაიც განიობატება, მაგალითად, ქუჩების განათება, მოკირწყვლა-მორწყვაში და ელდენის მიწოდებაში.

ტრამვაის მომავალ საანგარიშო წლებში დასახული აქვს მიზნად ლიანდაგების ვაყვანა: ვაკეზე, საბურთალოზე, დიდუბეში—გერმანელთა კოლონიამდე, ლენინის რაიონიდან (ნაძალადევი) ღრმა ლელემდე, ნავთლულის რაიონში ძველ სასაკლამდე, თავისუფლების შოედნიდან ახალი ქუჩით აბანოებამდე, პლებანოვის პროსპექტიდან „კირონი“ ქუჩით საბჭოთა ქუჩამდე.

გარდა ამისა, განზრახულია ყოველწლიურით 5 წლის განმავლობაში შეეძინოთ და განვანდოთ დაძველებული რონოდები, 12 ახალი რონოდა, 300.000 ფუთი რონები, 5.000 ფუთი ნიწის ქვეშა ჯირგინები, 1.000 ფუთი პირველი ხარისხის სპილენძის მავთული საპიერო ქსელისათვის და სხ. და სხ.

ტფილისის ხანძართმკრობი რაზმი

ხანძარი უნდა ჩაითვალოს უსაშინელეს სტიქიურ უბედურებად, რომელიც დროკამოშვებით ეგლინება მოსახლეობას და მუსარს ავლებს მის ავლა-დიდებას.

ხანძარი რამდენიმე ხნის განმავლობაში ანადგურებს ქალაქებს, სოფლებს, მოძრავსა და უძრავ ქონებას.

დიდიხანია მას შემდეგ რაც კაცობრიობამ იგრძნო ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა და ყველა ქვეყნებში მის წინააღმდეგ ყოველივე ზომებს ღებულობენ.

თუ გადავხედოთ ხანძრის გაჩენის სტატისტიკას, დავინახავთ, რომ ხანძრის გაჩენის უმთავრეს მიზეზს იღამიანი წარმოადგენს. ხანძარი ხდება ადამიანის დაუღვერობისა და გაუფრთხილებლობის მიზეზით, ან და მისივე უმოქმედობის გამო, ე. ი. არ ღებულობენ ხანძრის წინააღმდეგ გამაფრთხილებელ ზომებს.

უშუალოდ ხანძართან ბრძოლის საწარმოებლად ყველგან არსებობს განსაკუთრებული ხანძართმკრობი რაზმები, რომლის განკარგულებაშია მრავალი სხვადასხვა სახანძრო იარაღი. ზოგიერთ მათგანს აქვს დანიშნულება თავის დროზე აცნობოს მოსალოდნელა უბედურება; მეორენი ემსახურებიან რომ ხანძრის ადგილას მიაწოდონ წყალი; მესამენი—ჩააქრონ ხანძარი; მეოთხენი—ხანძარს ლოკალიზაციის უშუალებანი; მეხუთენი—არჩენენ ხალხს და სხვა ფიზიკურ საგნებს დაღუპვისაგან.

ქ. ტფილისშიაც არსებობს ხანძართმკრობი რაზმი, რომლის დანიშნულებაცაა ბრძოლის ხანძარს, გადაარჩინოს მეცხოვრები დაღუპვისაგან და დახმარება აღმოუჩინოს მათ ყოველი სტიქიური უბედურების დროს, როგორც, მაგალითად, წყალდიდობის, სახლის ჩამონგრევის და სხვა ამგვარ უბედურების დროს.

ტფილისის ხანძართმკრობი რაზმი ყოველთვის მზად არის დღე და ღამის განმავლობაში აღმოუჩინოს დახმარება მოქალაქეებს სრულიად უფასოდ და ხანძრის გაჩენის ადგილას ვადის პირველ გამოძახებისთანავე ელსმენით, პირადი განცხადებით და სხვა.

ტფილისის ხანძართმკრობი რაზმი 194 წლის წინაღ დაარსებულა ქალაქის იმ უბანში, სადაც სცხოვრობდა უმთავრესად ქალაქის ბურჟუაზია, სახელდობრ, სოლოლაკში.

ამ ასა წლის განმავლობაში ქალაქი გაიზარდა როგორც სივრცით ისე სივრცით, შეინდებოდა რამდენიმე სათულისა და სახლები და აგრეთვე მრავალი სახელმწიფო და საზოგადო წინაშეწელობის შენობებიც.

1921 წლამდე ე. ი. საქართველოს გასამკრობამდე ტფილისის ხანძართ-

მქრობი რაზმი შესდგებოდა ნხოლოდ ერთ ნაწილიდან, რომელიც მოთავსებული იყო სოლოლაკში და თუ ვინიცობა მას მოუხდებოდა ხანძარზე შორს ვასვლა მაგ., ავლაბარში, დიდუბეში და სხვა საჭირო იყო 20—30 წუთი.

ქ. ტფილისში არსებობს შემდეგ ხანძართმქრობი რაზმები:

პირველი ხანძართმქრობი ნაწილი—ვაჟაშვილის ქ. № 4; ელსმენი № 5.00.

მეორე ხანძართმქრობი ნაწილი—კალინინის ქ. ელსმენი № 12-08.

მესამე ხანძართმქრობი ნაწილი—შატოვანის ქ. № 93 ელსმენი № 4—91.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაწილებისა ტფილისის ხანძართმქრობი რაზმის ინიციატივით დაარსდა სახანძრო საგუშაგონი, რომელთა განკარგულებაშია, საჭირო სახანძრო მოწყობილობები და იარაღები; ესენია:

არსენალის ხანძართმქრობი რაზმი—არსენალის და მისი უბანის დასაცავად, საინჟინრო საწყობის სახანძრო საგუშაგო; რკინის გზის რაზმი ტფილისის დებოს და მისი უბნის დასაცავად; საქონლის საწყობის საღარაჯო; საავთიაქოს საწყობის საღარაჯო.

ტფილისის ხანძართმქრობი რაზმი განაგებს შემდეგ სახანძრო მოწყობილობებს და იარაღებს:

I. საბარგეულო: ავტომობილი 8.

II. წყალსმომწოდებელი იარაღი: 1. ავტომანქანა—4. 2. ორთქლის მანქანა—1 3. ნელით სამუშაო ტუმბო—47 და სხვადასხვა მოწყობილობები, სახელური შემწოვი, გამდენი, სამკივი, მილი, ცეცხმასხა და სხვა.

II. მასველი იარაღი: ა) მასველი სახელური—1. ბ) მასველი ბაწარი—33. დ) კიბეები: სერიოზო და გასაშლელი—77. ე) ხაკვამლე ნიღანი—1. ვ. მუნარი—128.

III. სანგრევი იარაღი:

ძილაყინი, ნაჯახი, წრიაბი, ნიჩაბი, წერაქვი, ელნაკადი, საჭრელი მაკრატელი, და სხვა—1.3.93.

და IV. სხვადასხვა წვრილმანი მოწყობილობა.

ჩირაღდანი, სათვალე, ცეცხლმაძრი, სანთანგო მაშუქა და სხვა—515.

ტფილისის ხანძართმქრობი რაზმი გარდა უშუალოდ ხანძართან ბრძოლისა ღებულობს აგრეთვე მთელ რიგ გამაფრთხილებელ ზომებს. გასულ წელს გამოიკა სავალდებულო დადგენილება: საკვამლე მილების ჩამოწმენდის და ლუმელების დადგმის შესახებ, თეატრებში თანბაქოს მოწვევის აკრძალვის და სხ.

ვინაიდან ტფილისში ხანძრის გაჩენის შემთხვევების 70%, იყო საკვამლე მილების გაუწმენდლობის გამო. ხანძართმქრობ რაზმთან დაარსდა საკვამლე მილების მწმენდელთა ჯუნდი 18 კაცის შემადგენლობით, რომლებიც აწარმოებენ საკვამლეების ჩამოწმენდას ქალაქში თანახმად არსებულ სავალდებულო დადგენილებიან.

ხანძართმქრობი რაზმის ტექნიკურათ გაუმჯობესებისთვის წელს შეძენილ იქნა შენდვეი მოწყობილობა და იარაღები, რომლებსაც მოკლე ხანში მივიღებთ.

ქ. შერლინიდან ორი განსაკუთრებული სახანძრო ავტომობილი, ერთ ბათანზე სდგას მექანიკური გასაშლელი კიბე სინაღლით 54 არშინისა.

ხანძრის გაჩენის ადგილი: საცხოვრებელი ადგილის—257, საწყობში—4, ელსადგურში 5, სამანქანო განყოფილებაში—10, სასწავლებელში 9, დაწესებულებაში—10, აფთიაქში—1, ფაბრიკა-ქარხნებში—5, ავტომობილში—2, ტრამვაის რონოდაში—2, დარბებში—11, სასადილო, რესტორანი, თონე-ფურნეში—15, ელნაკადის ბოძზე—10, სხვადასხვა ადგილზე—27.

• ხანძრის გაჩენის ცნობის საშუალება: ულსმუნით—381, პირადი განცხადებით—57, სათვალეუროდან—10.

სახლი ეკუთვნოდა აღმასკონს: 71, სხვადასხვა კავშირებს—59, კერძო პირებს—226, ხანძრის დასაქრობად გავიდა:

ერთი ავტომობილი—	382
ორი	44
სანი	12
ოთხი	2
ხუთი	5
ექვსი	3

ხანძრისგან ნიყენებული ზარალი—18.174 მანეთი.

ხანძარმა შეაყენა ზარალი 125 ჯერ.

სტატისტიკიდან ჩანს, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში ხანძრის გაჩენის შემთხვევები თანდათან იზრდება და დაშვებულ შემთხვევების რაოდენობა კი მკიდრდება და უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში კი სრულებით არაა.

აქედან ცხადათ ჩანს, თუ რა სიმაღლეზე სდევს და როგორ გუშავობს ტფილისის ხანძართმქრობელი რაზმი ჯ. ტფილისს.

ტფილისის ქალაქის ლომბარდი

ტფილისის ქალაქის ლომბარდი დაარსდა 1924 წლის მაისს.

წინათ, ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, ქალაქ ტფილისში არსებობდა რამდენიმე სასესხო კასა და სხვა წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებიც წვრილი კრედიტის მიწოდებით სათანადო დახმარებას უწყვეტდნ ტფილისის ღარიბ მცხოვრებლებს.

თუ წვრილი კრედიტის მიწოდება საქირო იყო მშვიდობიანობის დროს, მით უფრო საგრძნობი და აუცილებელი შეიქნა ეს დიდი რევოლუციის მიერ შექმნილი რთული პირობების შემდეგ.

რევოლუციამ ხალხი სოფლებიდან ტფილისისაკენ შოიზიდა. 1914 წელთან შედარებით 1924 წელს ტფილისის მცოვრებთა რიცხვი საგრძნობად გაიზარდა.

ამიტომ ქალაქში მცხოვრებთა ეკონომიური პირობები გაართულდა. ტფილისის ღარიბ მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი იძულებული შეიქნა ჩაზარტე გამოსულიყო საოჯახო ნივთის გასასყიდათ, ისედაც გადატყვებული ხალხი ბელნი უფარდებოდა მათა განხილ ჩარჩებს და მათი თავგასულობის შეუბრალებელი მსხვერპლი ხდებოდა.

ის სწორეთ ამ მდგომარეობის ცოტაოდენ მიინც შემსუბუქების მიზნით ტფილისის ქალაქის აღმასკომის მიერ დაარსებული იყო ქალაქის ლომბარდი.

ლომბარდის საოპერაციოდ აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ გადადებული იყო 50.000 მანეთი, როგორც ძირითადი თანხა. დაარსების პირველსავე დღიდანვე ლომბარდს ბევრი ძალხი მოაწყდა სესხის მისაღებად და ის მცირე თანხა, რომელიც აღმასკომის მიერ იყო გადადებული, ლომბარდმა დაარიგა პირველსავე სამი კვირის განმავლობაში.

მუშა-მოსამსახურეთა უღარიბესი ნაწილი ლომბარდის კარებს არ შორდებოდა.

ამიტომ ლომბარდი იძულებული შეიქნა მიემართა სესხისთვის რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში. თანახმად აღმასკომის განკარგულებისა ლომბარდმა მიიღო სესხი ქალაქის მანკიდან სპეციალური სახელდაბელო ანგარიშის სახით 50 000 მანეთის რაოდენობით.

ამ მცირე თანხით ლომბარდმა შესძლო დაეკმაყოფილებინა თავისი კლიენტების შილოდ უმცირესი ნაწილი; რის შემდეგაც ის ხელახლად შეუდგა საშვალებათა ძებნას.

ამ ეამად ლომბარდს აქვს 125.000 მანეთი, როგორც ძირითადი თანხა და 100.000 მანეთიც სესხი კომუნალურ ბანკიდან.



მოახლოვნილებასთან შედარებით ეს თანხა ფრიალ შვირთა.

ბშირიაა ზეგალითი, რომ ლომბარდი უფულოობის გამო რამდენიმე დღეობით სწყვეტს სესხის გაცემას რაც არა სასურველ შთაბეჭდილებას სტოეებს მცხოვრებლებზე და ბშირად ეს გარემოება ქორების საბაბიც ხდება.

თუ თვალს გადავავლებთ ამ ერთი წლის სესხის ოპერაციებს იმ რთულ პირობებში, როგორშიაც უხდებოდა მუშაობა ტფილისის ლომბარდს, მივიღებთ შემდეგს სურათს:

26 მაისიდან 1924 წლისა ვიდრე 26 მაისიდე 1925 წლ. ტფილისის ქალაქის ლომბარდს მიუღია 19.3492 გირაო, შეფასებული 557.053 მანეთად და მის უზრუნველყოფის ქვეშ გაცემულია სესხად 379484 მან.

ამავე ხნის განმავლობაში გამოუსყიდიათ დამგირავებლებს 7404 გირაო. დაფასებით 225936 მანეთისა და დაუბრუნებიათ სესხი 155909 მანეთი.

ამ ერთი წლის განმავლობაში ლომბარდს გაუმართავს 19 აუქციონი ვადა გასულ გირაოთა გასასყიდათ. მთელ აუქციონებზე გაყიდულა სულ 381 ვადა გასული ვირაო, დაფასებული 8984 მანეთად და რაშიაც გაცემული ყოფილა სესხი 6450 მანეთი.

ამ რიგით 27 მაისისათვის 1925 წ. ესე იგი წლის თავზე ტფილისის ქალაქის ლომბარდს რჩება თავის საწყობებში 11492 გირაო, რაც დაფასებულია 317651 მ. და რის უზრუნველყოფის ქვეშაც ითვლება გაცემული სესხი 214107 მანეთი.

ზემოთმოყვანილი ციფრების მოძრაობა ფრიალ დამაკმაყოფილებელი სურათის მაჩვენებელია.

ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს გამართული აუქციონების და მათზე გაყიდულ გირაოთა სიმცირე და საკუთრებად დარჩენილ გირაოთა უმნიშვნელო პროცენტი.

ტფილისის ქალაქის ლომბარდი ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ მთელი საბჭოთა კავშირის სხვა ლომბარდებთან შედარებით სარგებლის გადახდევინების რაოდენობათა მიხედვით ის გაცილებით ხელსაყრელ პირობებში მუშაობს.

ამ მხრივ ის მართლაც ლარობთა და მუშა-მოსამსახურეთა დამხმარე საკრედიტო დაწესებულებაა.

ზეგალითისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ ლომბარდის სესხის სარგებლის რაოდენობას:

1) მოსკოვის ლომბარდი გაცემული სესხის ჯამიდან ღებულობს 1%, ამის გარდა დაფასების საერთო ჯამიდან იღებს:

1-10 მანეთამდე—1 $\frac{1}{2}$ %, 11-25 მანეთამდე—2 $\frac{1}{2}$ %, 26-50 მანეთამდე 3 $\frac{1}{2}$ %, 51-100 მანეთამდე—4%, 100 და მეტზე 4 $\frac{3}{4}$ %.

2) დონის როსტოვის ლომბარდი:

50 კაპიტიდან 3 მანეთამდე—6%, 3 მანეთიდან 10 მანეთამდე—8%, 10 მანეთიდან და მეტზე კი—10%.

3) ტფილისის ქალაქის ლომბარდი იღებს:

1—9 მანეთამდე — 2%, 10—19 მანეთამდე — 3%, 20—39 მანეთამდე 4%,
 40 და მეტზე — 5%.

ამ უკანასკნელ ცხრილიდან საშუალო სარგებელი უდრის $3\frac{1}{2}\%$ -ს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ვარემოებას, რომ ტფილისის ლომბარდი უფულობის გამო უკანასკნელ თვეებში იძლევა მხოლოდ მცირე თანხის სესხს, ვნახავთ, რომ მისი საშუალო სარგებელი ამჟამად $3\frac{1}{4}\%$ არ აღემატება.

გარდა ხეივანოყვანილი ოპერაციებისა ტფილისის ლომბარდს აქვს ბევრი ისეთი ოპერაციებიც, რომლებიც დიდ შედეგათს ანიჭებს თავის კლერენტებს. მაგალითად, დამგირავებელი მიღებულ სესხზე სარგებელს იხდის არა წინდაწინ როგორც ეს სხვა ლომბარდებშია, არამედ ვადის გასვლის შემდეგ. ამას გარდა დამგირავებელს მიღებული სესხი შეუძლია დადაროს ნაწილობრივითაც.

ამ უკანასკნელ ოპერაციას წინეთ არც ერთს ლომბარდში არ ჰქონია ადგილი და შესაძლებელია კი ვიფიქროთ, რომ დღესაც, გარდა ტფილისის ლომბარდისა, საბჭოთა არც ერთს ლომბარდში ის არ სწარმოებს.

უნდა ითქვას, რომ ეს ოპერაცია ფრიად დიდმნიშვნელოვანია ლომბარდის ცხოვრებაში, მეტადრე თანამედროვე ეკონომიური კრიზისის დროს ლარობ მუშა-მოსამსახურეებისათვის.

შემოსავალ-გასავალის შეფარდების მხრივ ლომბარდის ბალანსი 26 მაისისათვის კარგს სურათს გვაძლევს.

27 მაისისათვის ლომბარდს აქვს წმინდა მოვების საკმაოდ დამკინკოფილებელი თანხა.

ტფილისის ქალაქის ლომბარდს აქვს ორი საკომისიო მაღაზია.

1) როზა ლიუქსემბურგის ქუჩაზე № 3 და 2) პლენანოვის პროსპექტზე № 101. მაღაზიები აწარმოებენ საკომისიო ოპერაციებს ყოველგვარი საოჯახო ნივთებით და აგრეთვე საქონლებითაც. არ შეიძლება ითქვას, რომ მაღაზიები იყოს ლომბარდისათვის ხელსაყრელი, მაგრამ თანამედროვე პირობებში ის აუცილებელია გაკვირებულ მცხოვრებლებათვის. საკომისიო მოტანილი ნივთის საერთო გაყიდვის ჯამიდან ლომბარდის მაღაზიები იღებენ 10%-ს საკომისიოს, იმ დროს როდესაც კერძო საკომისიო მაღაზიები ახდენენებენ თავის კლიენტებს არა ნაკლებ 20%.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ იმ შტატით, რომლითაც დღეს ლომბარდი და მისი მაღაზიები მუშაობენ, შეიძლება ითქვას უფრო მეტად გაკეთება, რომ ამისათვის იყოს საკმაო თანხა.

ამიტომ ლომბარდის იდმინისტრაციის მიერ შემუშავებული იყო და წარდგენილია ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმში სათანადო პროექტი ლომბარდის სააქციონერო საზოგადოებად გადაქმნის შესახებ, რომელიც პრეზიდიუმის მიერ პრინციპიალურად უკვე დადასტურებულიც არის.

საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული კავშირი „მწყემსი“

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ჩვენში წივკა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან კოოპერაციის საშუალებით არის შესაძლებელი სოფლის მეურნეობის აღდგენა და უღარიბესი გლეხობის ჩაბმა კოლექტიურ მეურნეობაში.

საქართველოს საბაზო მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცხვარეობას. სხვის რომ თავი დავანებოთ, მარტო ქართლ-ქახეთი კოვკელთვიურად ბარჯავს 30.000 ფუთ მატყლს (ფარდაგების, ხურჯინების და წინდა-ბაჭიკების და სხვა საქსოვად). ვარდა ამისა, ჩვენი შაზრის საჭიროებისათვის ყოველწლიურად იკვლება დაახლოებით 200.000 ჭედისა და თხლი და საღდებე 70.000 ფუთი, ჩვენში კარგათ ცნობილი, თუმური ყველი.

საქართველოდან ევროპაში წლიურად ვაქვთ დაახლოებით 100.000 ფუთი მატყლი.

მეცხვარეობის განვითარება ჩვენში დამოკიდებულია უმთავრესად იმ საშოკრების გამოყენებაზე, რომელიც შოლოდ ცხვარისათვის არის გამოსადევი.

ხემოთქმულიდან აშკარაა, რომ მეცხვარეობას ჩვენს სასოფლო მეურნეობაში ერთი საბატიო ადგილი უჭირავს და მის კოოპერატიულ შეკავშირებას აუცილებლად დიდი ნაყოფის გამოღება შეუძლია.

სწორედ ამ მოსახრებით 1921 წელს დაარდა მეცხვარეთა კოოპერატიული ორგანიზაცია „მწყემსი“, რომელიც აერთიანებს საქართველოს მეცხვარეთა დიდ უმრავლესობას.

„მწყემსი“-ს წევრების რაოდენობის ცვლებადობა 1921 წ. 1924 წლამდე ასეთია:

1921 წელში	2352
1922	1176
1923	629
1924	3050

შეგროვილი მატყლის რაოდენობა „მწყემსი“-ს ორგანიზაციის შიერ 1921 წ. 1924 წლამდე:

1921	12000
1922	16500
1923	8000
1924	30000

დღეს „მწყენა“-ს ორგანიზაცია დაყოფილია სამ დიდ რაიონად: თელავის, ქიზიყის და ტფილისის. აღნიშნულ რაიონებში არის გახსნილი განყოფილებები და ქვეგანყოფილებები. მაგალითად: სიღნაღის მაზრაში; ქვემო მაჩხაანში და თუქურ-მიშაში. თელავის მაზრაში; ქ. თელავში, ზემო ალვანში, შიღდაში და თიანეთში, ზაენგლობით ახალქალაქის მახ. ახალქალაქში და ბაკურიანში, 1925 წ. ვქვსი თვის განმავლობაში აღნიშნულ განყოფილებებს მიერ გატყუებულია წევრებზე სტრასათ-სანოვაგე, ფართლელობა და ფული 286.800 მან.

გარდა სტრასათ-სანოვაგის და ავანსების შიწორებისა მეცხვარეობის განვითარებაში და თავის სიმაღლეზე აყვანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საძოვრებს. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ არის საძოვრების საქმეები მოგვარებული. საძოვრები, რომელიც დღეს შეცხვარების განკარგულებაშია ნახევრად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მაგალითად, ახალქალაქის მაზრაში სძოვს დაახლოვები 609.000 სული ცხვარი, რომლის განკარგულებაში 56.000 დესტინაა. თითო დესტინაზე უნდა მოედეს 11 სული ცხვარი. თუ ჩვენ ვიანგარიშებთ ცხვრის რაოდენობას და საძოვრებს ჩვენ მივიღებთ შემდეგს: ერთ დესტინაზე ვხლავთ 11 სული, საიწროვე საძოვრების ნაუნებელია როგორც ცხვრისათვის, აგრეთვე საძოვრისათვის. ამ არანორმალურ მდგომარეობას „მწყენის“ გამგეობამ მიაქცია ყურადღება და 1925 წლისათვის სომხეთის რესპუბლიკიდან იჯარით აიღო სრული 7.796 დეს., სადაც დაახლოვებით სძოვს 50.000 ცხვარი. „მწყენის“-ს გამგეობა გაზაფხულის საძოვრების გაფართოებას გასულ წლიდან ცდილობდა და ამ მოსაზრებით შოლაპარაკება აწარმოვა ოსმალეთის მთავრობასთან, რომ ცხვარი ვადისულაიყო არდაგნის მთებში (სადაც საერთაშორისო ომის დაწყებამდე ყოველთვის სძოვდა ჩვენი ცხვარა), მაგრამ სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით სასურველი შედეგები ვერ მივიღეთ.

ზამთრობით საქართველოს ცხვრის დიდი ნაწილი სძოვს შირაქის ველზე, რომლის სივრცე ძველი მოჯინთ უდრის 192000 დესტინას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ დიდ სივრცეზე შევიწროვებული არიან მეცხვარეები, რის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: ამ საძოვრის თვალსაჩინო ნაწილი, რაოდენობით 42 ათასი დესტინამდე, რევოლიუციის პირველ ხანებში თვითნებობით დაუკავებიათ ყაზახის მაზრის მცხოვრებთ, თვითონ მათ საქონელი ნაკლებათა ყავთ და ამ მითვისებულ საძოვარს იჯარის ქვეშ აძლევენ ქართველ მეცხვარეებს.

მეცხვარეების მეორე შემავიწროებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დასავლეთის მხრივ შირაქის ველი ადგილობრივი სოფლის მცხოვრებლების მიერ როგორც არის ზემო ქედი, ქვემოქედი, არხის კალო და სხვა იხნება და ითესება. მაგრამ ხვანა-თესვა რომ წესიერი გზით წარმოებდეს, არაფერი არ გვეთქმობდა. სამწუხარო ის არის, რომ ასეთი ხდება ყოველად მიუღებელი და. მეცხვარეთათვის, საზარალო წესით. მაგალითად: ხნავენ და თესავენ ალაგ-ალაგ შუაში საძოვრის გამოტოვებით. ამ შემთხვევაში „მწყენა“-ს არა აქვს საშუალება შუაში გამოტოვებულ ვიწროებში მოათავსოს ცხვარი და საძოვარი ტყუილ-უმბრალოდ სცდება. ამის გარდა საზღვრები, რომელიც ამ 20-25 წლის



უწინ მიემიჯნათ მესაქონლეებს საქონლის სულის და მხედვეით, ყველგან წაშლილია და დღეს არაიქნის იცის თუ რამდენ დესექტინაზე სდგას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შემოდგომის, აგრეთვე გაზაფხულის საძოვრები ჯერ კიდევ ვერაა მოგვარებული.

სურსათ-სანოვებისა და საძოვრების გარდა, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მსუბუქებისათვის გზას, სადაც საზამთრო საძოვრებიდან უხდებათ მგზავრობა საზაფხულო საძოვრებისაკენ ან და უკანცე.

მთავრობის მიერ გასული წლის მარტის თვეში დადგენილ იქნა, რომელითაც უნდა შემდგარიყო სრულყოფილიანი კომისია ცხვრის საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო მთებამდე გზების და დასასვენებელი პუნქტების გამოსაყოფად მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“-ს წარმომადგენლის მონაწილეობით.

კომისიამ ამ საქმის გარშემო მართლაც იმუშავე ერთ თვემდე, მიგრანტების კურად გზების და დასასვენებელ პუნქტების გამოჭრა ვერ მოახერხა, ვინაიდან მგტი წილი ამ ადგილებსა, რომლითაც გზა უნდა გაყვანილიყო, ამ დროს დაზნულ-დათესილი იყო. ზოგიერთ რაიონში კი არ იყო მიწის მოწყობის საქმე დაყენებული და არ შეიძლებოდა გაგება, თუ რამდენი მიწა უნდა დარჩენოდა ადგილებშიც მცხვარებლებს ნორმაში და რამდენის გადადება შეიძლებოდა მოგზაურ ფარის დასასვენებელ პუნქტებად და სხვა.

ამიტომ კომისია შით დაკმაყოფილდა, რომ ხსენებულ გზების და პუნქტების ნიმართულება შეისწავლა.

მატყლის ყიდვა-გაყიდვის და მეცხვარეობის ნაწარმოების გასაღების გარდა, „მწყემსი“-ს ორგანიზაცია ცდილობს მეცხვარეობაში კულტურის შეტანას, ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებას და მეცხვარეობის ინტერესების დაცვას.

ტ. ალ. კომ. ელექტრო-ქსელის გამთვლელ დაშვებას განყოფილება

ხემა-ავტალის ჰიდრო-ელექტრო სადგურიდან ელექტრო-დენის გაშვებასთან დაკავშირებით, ქ. ტფილისის არსებული ელექტრო-ქსელი ახლად უნდა იქნეს მოწყობილი, სადგომების ელექტრო-დადგმულობანი და გაყვანილობანი გადაკეთებული, ხოლო ახალი მოწყობილი უნდა იქნეს ელექტრო-ტექნიკურ ყრილობების მიერ გამოგზავნილ ნორმებისა და წესების მიხედვით.

ამ მიზნისათვის ტფილისის აღმასკომის მიერ 1924 წ. 16 ოქტომბრიდან დაიარსებულ იქნა ელექტრო-ქსელის გამთვლელ-დაყენების განყოფილება, რომელიც ე. მ. ს-ის ქ. განყოფილების სახით მოქმედებდა ა/წ. თებერვლამდე. ამ უკანასკნელი დროიდან ის უშუალოდ დაექვემდებარება კომუნალურ განყოფილებას.

განყოფილების საარსებო საშუალებებს შეადგენს კრედიტი, რომელიც გახსნილი აქვს ადვოკატობრივ და ცენტრალურ (მოსკოვის) კომუნალურ ბანკებში. განყოფილება უზრუნველყოფილია საჭირო მასალებით.

ქალაქის ელექტრო-ქსელის გენერალური გეგმა უკვე დასრულებულია და ამ ებმად სწარმოებს ბოძების დაყენება. ქსელი, განზრახულია, პირველად მოეწყოს განაპირა უბნებში და შემდეგ ცენტრში, ბოძების დაყენება სწარმოებს დიდუბეში, ვერახე და ლენინის რაიონში. ახლო ხანში მუშაობა დაიწყება ავღაბარში.

განყოფილებას ამ ებმად ჰყავს 166 მუშა-მოსამსახურე.

სადგომებში ელექტრო-დადგმულობების გადასაკეთებლად და ახლის მოსაწყობად, განყოფილების მიერ გამოცემულ ნორმებისა და წესების თანახმად, განყოფილებასთან დაიარსებულია საკონტროლო სამონტაჟო ქ. განყოფილება, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა.

ამონენტებს, რომელთაც სურთ ისარგებლონ საბჭოთა ელექტრო-სადგურების არსებულ ელექტრო-ქსელიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა ელექტრო-ენერგიით სარგებლობის უფლება, თუ მათი სადგურების ელექტრო-დადგმულობანი ეთანხმებიან ახალ ნორმებსა და წესებს.

ტფილისის კომუნალური წყალსადენი

ტფილისის წყალსადენი აშენებულია 1887 წელში. ნაცვლათ ყოფილ მცირე ყორღანოვის წყალსადენისა. წყალსადენი თანდათანობით ვითარდებოდა.

ჯერ იყო გაყვანილი წყალი წყაროებიდან დღეში 400.000 კედროს დებეტ. 1891 წლიდან წყაროს წყალს მიებატა გაწმენდილია საწურებში მტკვრის წყა-

ლი და მას აქვეთ მთელი წყალსადენის გაფართოვება ხდებოდა მტკვრის წყალის ანგარიშზე.

ებლანდელი დღიური წყლის მიწოდების მაქსიმუმის რაოდენობა უდრის 1.660.000 კასრს დღე-ღამეში. მეტს ვერ ეაწოდებთ ქალაქს, ვინაიდან მაგისტრალები მეტს ვერ უშეგებენ წყალს. წყალი მილით იწმანდება საწურებით და შაბით. რაც შეეხება მანქანებს, ავჭალაში იყო დაყენებული წინეთ წყლის ტურბინები ზა ორთქლის მანქანები: 1908 წელში დაყენებულ იქნა ორთქლის ტურბინები. 1918 წელში ორთქლის მანქანები გაუქმებულ იქნა და მათი ნაცვლად დაყენებულ ზქნა დიზელები 240 ძალისა.

ამ რიგათ ებლა მუშაობს ორი წყლის ტურბინა 180 ძალისა, ორი დიზელი—240 ძალისა და ერთი ორთქლის ტურბინა—225 ძალისა. 1922—1923 წელში მოხდა კაპიტალური რემონტი ყველა მანქანებისა, მტკვარზე გაკეთდა მთელი რიგი პიდრო-ტენიკურ ნაშენებისა და მას აქვეთ წყალსადენი დალუპვის მდგომარეობიდან სრულ აღდგენის გზაზე დადგა და ყოველი ხაფათიდან დაზღვეულია.

1922 წელს მოხდა წყალსადენის ნაწილობრივი ელექტროფიკაცია პატარა ძრავების ელექტროძრავებით შეცვლით და სათანადო ელსადგურის მოწყობით.

საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენდა სამი მუშაო სახლი და ერთი ადგილობრივი კლუბის შენობა.

რაც შეეხება ქალაქს 1924 წელში ცხოვრებაში გაყვანილ იქნა ფართო პრინციპი წყალსადენის მიხლოვებისა განამპირა რაიონებში და შეღავათიან პირობებში სახლის წყალსადენის გაყვანისა.

მიღებულ იქნა 1924 წელში ფართოთა წყალსაზომების დაყენება აბონენტებთან და წყლის აღრიცხვის გაუმჯობესება. დადგნულ საზომების რიცხვი გადიდდა 15%-დან—53%-დე.

აბონენტების რიცხვი სწრაფად დიდდება ქუჩებში მიღების გაყვანის გამო წარმოების ხარჯით და დიდი შეღავათების გამო სამუშაო ფულის გადანდაში.

წყალსადენის მომავალი გაფართოვება ვერ მოხდება სანამ მაგისტრალები რომელნიც აერთებენ ავჭალის წყალსადენის სადგურს ქალაქთან არ იქნებიან გადიდებული.

ახლო მომავალში წყალსადენის ორთაქლის ტურბინა და დიზელები შეცვლილ იქნებიან ელექტრო-ტუმბოებით, ე. ი. მოხდება სადგურის ელექტროფიკაცია ზემო-ავჭალის ელსადგურის საშუალებით.

მაშინ მაგისტრალების გაუდიდებლად, ხოლო ქალაქში რეზერვუარებზე დამატებითი წყალქარვის მოწყობით 400 ძალისა შესაძლებელი გახდება ქალაქში წყლის მიწოდება 2.100.000 კასრის დღე-ღამეში.

მაგრამ ეს საცმარისი არ არის ამისთვის საჭირო იქნება კიდევ წყლის საწმენდი ნაშენების გადიდება და ქალაქის ქსელის გაფართოვება.

საბოლოო გადაწყვეტა წყალსადენის საკითხისა ტფილისში იქნება ახალი წყალსადენის მოწყობა არავის ხეობიდან ნატანტარის ან ბუღაჩაურის წყაროებიდან.

პირველი ვარიანტით საჭიროა თანხა 2.700.000 მან. მეორე ვარიანტით საჭიროა თანხა 4.500.000 მან.

ამ საქმეს ქალაქი კიდევაც შეუდგა ჯერ-ჯერობით გამოკვლევის სახით და ახალი წყალსადენის განხორციელება უნდა ჩაითვალოს „ზაჰისის“ დამთავრების შემდეგ პირველ საქმედ.

სამიარ-გავისის რკინის გზები

ვაგხლის ტუჩა № 1.

გ. ხ. ს. კომ ტის რწმუნებული და გამგეობის თავმჯდომარე—**კ. ივანოვი** ტელ. 1—27. მოადგილე—**გ. ჩხეიძე**, გამგეობის წევრები: **გ. ზეროძე**, **მ. აბრამოვი**, **ლ. ტერ მიქაელიანი**, **ა. ლევაშოვი**, **მ. შამუდბეგოვი**, **გ. ფიცხელაური** და დავალებათათვის ინჟინრები: **გ. გუდწიფელი** და **ვ. კენგე**.

სადმინისტრაციო განყოფილება. ტელ. 14—22 უფროსი—**ტ. გაბესჭირია**. მოადგილე—**ნ. კოვალენკა** (ვაგხლის ქ. № 1).

წევის განყოფილება. უფროსი—**ნ. ლეონტაძე**, თანამემწენი: **ნ. მელუიკოვი**, **ნ. მანდენოვი** და **ვ. სიდოროვი**.

ტფილისის მთავარ სახელოსნოების უფროსი—**ვ. მაისუროვი**. ტელ. 18—17 (ლიანდაგის მიღმა).

სალიანდაგო განყოფილება. უფროსი—**ა. გვგიძე** ტელ. 6—26. მოადგილე—**ნ. მ. კარპოვიჩი**, **რ. კულანდა**.

საექსპლოატაციო განყოფილება. ტელ. 10—94, უფროსი—**ნ. ნებჭსოვი**, მოადგილენი—**ა. ტოლსტონოვოვი** და **ი. გაზალოვი** (ვაგხლის ქ. № 1).

მიმოსვლის და ელექტრო-ტექნიკის განყოფილება. უფროსი—**გ. ქავთარაძე** ტელ. 16—41. მოადგილენი—**ა. ნავრუზაშვილი** და **ვ. პოლეტაფე** (ვაგხლის ქ. № 19).

მატერიალურ დარგის განყოფილება. ტელ. 15—29, უფროსი—**გ. ხატი-სოვი**, მოადგილენი—**ვ. ორჯონიკიძე** და **ბ. კაპანაძე**. (ვაგხლის ქ. № 1).

ეკონომიური განყოფილება. უფროსი—**გ. აბელიშვილი**, მოადგილენი—**ი. შაჭავარიანი**, **პ. აკუბჯანოვი** და **ტ. დევიძე**.

სატექნიკო-საკონტროლო განყოფილება. უფროსი—**ნ. შახბუღაგოვი**.

საანგარიშო-საფინანსო განყოფილება—ტელ. 18—36 უფროსი—**ზ. კალანდია**, მოადგილენი **ს. ნუროვი** და **ი. ტიმოშენკო** (ვაგხლის ქ. № 1).

იურიდიული განყოფილება. უფროსი **იურისკონსულტი**—**ვ. დემილოვი**, ტელ. 14—33. მოადგილე—**ზ. შაჭავარიანი**. (ვაგხლის ქ. № 1).

ნავთსადენის განყოფილება. ტელ. 11—66 უფროსი **მ. ოვანეზოვი**,— მოადგილენი—**ა. პოტკოვი** და **ა. ცვიტლინი** (ყოფ. ჩერტეზიშვილის ქ. 70).

საშემოსავლო ნაწილი. უფროსი **ნ. ირემიძე** ტელ. 7—03. მოადგილენი—**ა. ხუბოვი** და **მ. ჯაფარიძე**.



- ხე-ტყის დამზადების განყოფილება. ტელ. 15-32, უფროსი—ი. ამაშუ-ველი, მოადგილე—ი. ჯეჯელავა და ნ. დავიდოვსკი (ამოს ქ. № 5)
- სტატისტიკის და კარტოგრაფის განყოფილება. უფროსი—ა. არუთინოვი ტელ. 11-44, მოადგილე—ა. კალიუენი (ბატარეის და შალაქის ქ. კუთხე).
- შრომის და უოფა-ცხოვრების მოწესრიგების განყოფილება. უფროსი—კ. დანიუკოვი, მოადგილე—პრიკაშნიკოვი.
- პროფგანათლების განყოფილება. ტელ. 11-03, უფროსი—ვ. კიკნაძე (კლ. ცეტკინის ქ. 200).
- სამობილიზაციო განყოფილება ტელ. 5-41, უფროსი ვ. ბეჟანოვი, მოადგილე—ა. კარასისი (ეაგზის ქ. № 1).
- დაცვის განყოფილება. უფროსი—ვ. კოჭლამვილი, მოადგილე—ნ. შატი-ნოვი.
- „შრომის“ ბიურო. თავმჯდომარე—მ. აბრამოვი, მოადგილე—ე. კრანცო.

ა/ბ. ნავსადგურთა განყოფილება

რუსთაველის პრ. № 27.

- განყოფილებები უფროსი—ხ. აბაგვი ტელ. 21-57, უფროსის მოადგილე—ტ. სპრინკველი.
- ბათუმის ნავსადგურის სამმართველო, უფროსი—თ. სპრინკველი.
- ფოთის ნავსადგურის სამმართველო, უფროსი—ე. გორკოლიანი,
- სუბუზის ნავსადგურის სამმართველო, უფროსი—ს. საღრაძე.
- სუბუზზე მიწერილი პუნქტები-რეაღები—იქმშირი, გუდაუთი, ახალი ათონი და გავრა.
- კასპის ზღვის ადმინისტრაციული ინსპექცია, უფროსი ინსპექტორი—ნიკოლაენი, ტენნიკური ინსპექცია. ინსპექტორი—ვიშნიანსკი.
- განყოფილებასთან არსებული კვლევამუშაების ბიურო—ინჟ. ვალდენსკი (ტფილისში).
- მდ. მტკვარზე ტენნიკური ზედამხედველობა, უფროსი—შერემეტოვსკი.

ს. ს. ს. რესპუბლიკის

გზატექნიკის და სასოფლო გზების სამმართველო.

ივ. მაიახლის ქ. № 8 ტელ. 12-74.

- სამმართველოს უფროსი ინჟ. ნიკ. ლ-ძე კო რ ი ნ თ ე ლ ი.
- სამმართველოს უფროსის მოადგილენი:
 - ინჟ. ნიკ. ლევ-ძე გვარამაძე.
 - ინჟ. ვლ. იტტოს ძე ს ი მ ი ნ ს კ ი.
- მოადგილე ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ დარგში ტენწ. გრ. ვას. ძე სანაკოევი.



II ინსპექცია:

- უფროსი ინსპექტორი ინე. ნიკ. ლევ.-ძე გ ვ ა რ ა შ ა ძ ე
- სამუშაოთა ინსპექტორები:
 - ინე. ი. ზაქ.-ძე ანდრონიკაშვილი
 - ინე. შიხ. ივ.-ძე თ გ ა ნ ე ზ ო ვ ი
- აუქტო-ინსპექტორები:
 - მგვ. გაბ.-ძე ც ა გ ა რ ე ლ ი
 - ბეს. დიმ.-ძე მ ა მ ლ ი ა

III ტექნიკური განყოფილება:

- განყოფილ. უფროსი ინე. ელ. ოტტოს-ძე ს ი შ ო ნ ს ო ნ ი
- " " თანაშემწე ინე. ალ. ხარბაძე შ ე ვ ე ლ ა კ ი

IV საფინანსო-ხაანგარიშო განყოფილება:

- განყოფილების უფროსი ფან. ფარნაოზ.-ძე ე ო რ დ ა ნ ი ა
- " " თანაშ. ლევ. იესეს-ძე ტ ქ ო ნ ი ა
